# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 დეკემბერი 2007 №278 (3201) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს გასახიზნი არავინ ჰყავს!

კლაუს ტოპმიოლერი, ნოდარ ახალკაცი და ზურაბ ხიზანიშვილი





## ბოლო ბოლოსწინა ტური, რა ტური!

დღეს „ამერი“ გლდანში „ზესტაფონს“ დაუხვდება...

ამ წინადადების მიღმა კი მხოლოდ ერთი კონკრეტული მატჩი არ იგულისხმება.

თუ ისტორიას გადავხედავთ, ეს არის წყვილი, რომელიც თასის ბოლო ორი ფინალის მონაწილე იყო და ამათი ორთაბრძოლა ქართულ „კლასიკოდაც“ ყალიბდება.

„ამერისა“ და „ზესტაფონის“ დაპირისპირებათა საჩემპიონატო ისტორიაში, საცხრილო-სატურნირო ამბავში კი ეს ამ დროისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშია, რაკი სასწორზე დადებულია ერთი მათგანისთვის ლიდერობა, მეორესთვის კი ჩემპიონობის შანსის შენარჩუნება.

ამ მატჩით საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო ბოლო ტური ბოლოსწინად იქცა, ქრონოლოგიურად კი ბოლო ტური ისაა, ოთხი დღის მერე „დინამო“ — „ზესტაფონი“ და „ამერი“ — „ვიტ ჯორჯია“ რომ გაიმართება.



ზურაბ ხიზანიშვილის განაწყენების და საქართველოს ნაკრებიდან წასვლის თემა, ერთი კონკრეტული ფეხბურთელისა და მწვრთნელის ურთიერთობის და დაპირისპირების თემა არ არის. ეს უფრო ზოგადი თემაა, რაკილა დღეს ხიზანიშვილია, წინა წლებში კი სხვაც ბევრი ყოფილა...

მიხეილ ყაველაშვილი, თემურ ქეცბაია, ალექსანდრე იაშვილი, კახა კალაძე, გოგა გახოკიძე, გოჩა გოგრიჭიანი, შოთა არველაძე, კახა ცხადაძე — ამ სახელიან ფეხბურთელებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზებით უარი უთქვამთ ნაკრებში თამაშზე. ანუ პრობლემა, რომელსაც დღეს პირობითად „ხიზანიშვილი VS ტოპმიოლერი“ შეგვიძლია დავარქვათ, დღევანდელი არ არის.

ეს დღეებია, „სარბიელი“ ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე ინტერვიუებსა და კომენტარებს გთავაზობთ და ამაზე წერას, ბუნებრივია, კვლავაც განაგრძობს.

დღეს ჩვენი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, მწვრთნელი, საქართველოს ნაკრებ გუნდთა კურატორი რევაზ არველაძეა...

# ამათგან ერთი მსოფლიოს საუკეთესოა

## 17 დეკემბერს ციურიხში: ნაკრებთა მწვრთნელთა და კაპიტანთა ვერსიით გაიმარჯვა...

## ფიფამ სამეულში კრიშტიანუ რონალდუ, ლეო მესი და კაკა დატოვა







# რევაზ არველაძე: გვჯერა მომავლის!

ბოლო დღეების ყველაზე „ცხელი“ თემა საქართველოს ნაკრებისა და ინგლისური „ბლექბერნის“ მცველ ზურაბ ხიზანიშვილის ამბავია. ზურამ, კლაუს ტოპმიოლერის უყურადღებობამ გული მატკინა და ნაკრებიდან მივდივარო, გვითხრა და ისიც იეჭვა, ამ საქმეში მავანთა ხელიც ურევიაო. ამ ამბავს, ცხადია, ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც გამოეხმაურა და თავისი სათქმელიც თქვა, არ მჯერა, ზურა ამას თუ იტყოდაო. არადა, ხიზანიშვილი თავისაზე დგას და საქმე კვლავაც ჩახლართულია.

ქართულ ფეხბურთს კი თავისი სატკივარი სხვაც ბევრი აქვს და ამ ყოველივეზე სასაუბროდ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს ვესტუმრეთ. ის ფედერაციაში სანაკრებო საქმეების კურატორია, ადრე, მოგეხსენებათ, თამაშობდა, მწვრთნელადაც უმუშავია და იმ ფეხბურთელის ძმაა, რომელმაც, ხიზანიშვილის არ იყოს, ერთი ხანობა ეროვნულ გუნდში თამაშზე გული აიცრუა...

რევაზ არველაძესთან საუბარი დურბანში რამდენიმე დღის წინ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის წილისყრით დავიწყეთ, მთავარ თემაზე კი მერე გადავედით...



— თანამედროვე ფეხბურთში იოლად დასაძლევი მეტოქე და, მით უმეტეს, შესარჩევი ჯგუფი რომ არ არსებობს, ყველამ კარგად იცის და ამის დასტურად თუნდაც წინა შესარჩევი ეტაპი გამოდგება. ჯგუფის ფავორიტი, რა თქმა უნდა, იტალიაა, გუნდი, რომლის წინააღმდეგაც საქართველოს თამაში ყოველთვის გამოსდის. ზოგადად, იტალია და ინგლისი საკუთარ კარზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე შეტევაზე, მეტოქეს მოედნის ცენტრს უთმობენ და თამაშის საშუალებას აძლევენ. ამიტომაც არის ხოლმე, საქართველო — იტალიისა და საქართველო — ინგლისის მატჩები ყოველთვის სანახაობრივი. ბულგარეთი და ირლანდია დაახლოებით ერთი დონის გუნდები არიან და შინ გაცილებით ძლიერად თამაშობენ, ვიდრე სტუმრად. ქულების მეტ წილს ისინი სწორედ შინ აგროვებენ. ასევეა საქართველოს ნაკრებიც. ჩერნოგორია კი... ეს ქვეყანა ყოფილი იუგოსლავიის ნაწილია, ბოლოს სერბეთთან ერთად იყო და, ცხადია, ამ გუნდთან მძიმე მატჩები იქნება. ხოლო კვიპროსი რაღაც გამოუცნობი გუნდია, თუმცა, თუ ჯგუფიდან გასვლაზე გვაქვს პრეტენზია, კვიპროსზე ლაპარაკი ზედმეტად მეჩვენება. ჩვენი მიზანი კი სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაა. ესაა საზოგადოების მოთხოვნაა და ჩვენ ვალდებულები ვართ, ამ მიზნის მისაღწევად მაქსიმუმი გავაკეთოთ. არ შეიძლება, რაიმე შედეგისკენ მივდიოდეთ და საამისოდ საქმეს რაიმე დავაკლოთ. არ უნდა დაინანო ფული, უნდა ესწრაფო, გყავდეს მაღალკვალიფიციურებული მწვრთნელი და არ შეცდე სახელექციო საქმეში — აი, ეს არის წარმატების საფუძველი.

— წინა შესარჩევ ციკლს როგორ შეაფასებთ — რას ელოდით და რა მიიღეთ?

— ველოდით მეტ ქულას და ჯამში 36 შესაძლებლიდან სულ 10 ქულა მოვიპოვეთ. ცხადია, ეს იმედგაცრუება იყო. თუმცა, მეორე მხრივ, ველოდით, რომ ჩვენთან ვერც ერთი მეტოქე ვერ „გაისეირნებდა“ და ასეც მოხდა. მოკლედ, რაღაც ტენდენციები გამოიკვეთა და ველით, რომ მომავალ ციკლში ჩვენი მოლოდინი საქმეში რეალურად აისახება. ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატის ამ შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილისთვის 18-20 ქულა საკმარისი იქნება. მეტოქეები ერთმანეთს ბლომად ქულებს დააკარგვინებენ.

**— იმ პრობლემებზე რას იტყვით, წინა შესარჩევმა რომ მოგვიტანა: ნაკრების მწვრთნელისა და რამდენიმე ფეხბურთელის მეტ-ნაკლებად გართულებულ ურთიერთობას ვგულისხმობ...**

— ვიდრე კითხვაზე კონკრეტულად გიპასუხებდეთ, მინდა, ჩემი პირადი სიმპათია დავაფიქსირო საქართველოს ნაკრების ყველა წევრის მიმართ, დაწყებული მწვრთნელებით და პერსონალით დამთავრებული. ცხადია, კარგია, როცა პრობლემები ნაკლებად გაქვს, მაგრამ ისიც არის, რომ ყოველთვის ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება, ისეთ კარგ ადამიანს, როგორიც ზურაბ ხიზანიშვილია, პრობლემა გაუჩნდეს ისეთ უშუალო ადამიანთან, როგორიც კლაუს ტოპმიოლერია. თუმცა არის სხვა ფაქტორიც, ყველა ადამიანი ერთნაირად არ ფიქრობს, ზოგი შენიშვნებს მტკივნეულად აღიქვამს, ზოგიც ამაზე ყურადღებას არ ამახვილებს. არის კიდევ ერთი მომენტიც: არიან ფეხბურთელები, რომლებსაც უნდა დაელაპარაკო. ერთი ფეხბურთელის უთამაშებლობა გუნდს დაეტყობა, მეორესი — ნაკლებად. თუმცა, ყველა შემთხვევაში, ორივე მხარემ საერთო საქმის სასარგებლოდ ყველაფერი უნდა გააკეთოს და პირადი პრობლემები მეორე პლანზე გადადოს. ჩემი სიტყვების, ასე ვთქვათ, მორალი ის არის, რომ საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი ფეხბურთელები.

— თავად თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, როცა მწვრთნელზე განაწყენებულს გუნდი მიგიტოვებიათ?

— როგორ არ მქონია... მწყენია რაღაც, საწვრთნელი ბაზა დამიტოვებია და არა მგონია, სწორი გამეკეთებინოს.

— საქართველოს ნაკრებიდან ხიზანიშვილამდე სხვა ფეხბურთელებიც წასულან, იგივე თქვენი ძმა შოთა არველაძე... ამგვარი პრობლემები როდის უნდა დამთავრდეს?

— ეს პრობლემა სულ იქნება... როცა ფეხბურთელს ნაკრებში თამაშის პრეტენზია აქვს, ხოლო მწვრთნელი თავად იღებს გადაწყვეტილებას, ვინ ათამაშოს, ვინ — არა, ამგვარი პრობლემები მუდამ იქნება. ყურადღება მიაქციეთ, ფეხბურთელების პრეტენზიების გამოხატვის ფორმაც ძალიან ხშირად ერთნაირია...

— თითქმის ყველა განაწყენებული ფეხბურთელი კი ბოლოს ნაკრებში მაინც დაბრუნდა. როგორ იქნება ზურაბ ხიზანიშვილის შემთხვევაში?

— ვფიქრობ, ეს პრობლემა მოგვარდება. კლაუს ტოპმიოლერი პროფესიონალი მწვრთნელი და კარგი ადამიანია, და ასევე პროფესიონალი ფეხბურთელი და კარგი ადამიანია ზურაბ ხიზანიშვილი.

— ფეხბურთელთა გარკვეული პრეტენზიების გარდა, კიდევ რა არის ნაკრების პრობლემა?

— არასტაბილური თამაში.

— გამოსავალი?

— მოდით, ქრონოლოგიურად გავყვეთ ტოპმიოლერის მუშაობას. ჯერ იყო და, მან აქცენტი გააკეთა გამოცდილ ფეხბურთელებზე და ისე მოხდა, რომ გუნდმა მაღალ დონეზე ვერ ითამაშა: გოგა გახოკიძემ ფეხბურთს თავი დაანება, შოთა არველაძეს ტრავმებმა არ მისცა სტაბილურად თამაშის საშუალება, დაშავებულები იყვნენ კახა კალაძე და მალხაზ ასათიანი, მერე ტრავმა მიიღეს ლევან კობიაშვილმა და სხვა ფეხბურთელებმაც... ბევრი დისკვალიფიცირებულიც გვყავდა. მწვრთნელი იძულებული იყო, ხშირ-ხშირად შეეცვალა შემადგენლობა და ბოლოს ისე მოხდა, რომ მან 50-მდე ფეხბურთელი ათამაშა. მოგვიანებით ტოპმიოლერი ახალგაზრდებზე გადაერთო... ახლა კი კლაუს ტოპმიოლერმა უკვე ყველაფერი კარგად იცის, იცის ფეხბურთელთა შესაძლებლობები, ქართულ მენტალიტეტსაც ჩასწვდა და ამ და კიდევ სხვა ნიუანსების ერთობლიობა მას საქართველოში სამომავლო მუშაობას გაუიოლებს. ამ წუთში საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე კლაუს ტოპმიოლერის ალტერნატივას ვერ ვხედავ. საქართველოს ნაკრებს ტოპმიოლერის თავკაცობით გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია და დარწმუნებული ვარ, რომ გულის სიღრმეში ყველა, ვინც ფეხბურთი ოდნავ მაინც იცის, ასე ფიქრობს... მთავარია, საერთო საქმე ვაკეთოთ და პირადულზე ნაკლები აქცენტი გავაკეთოთ. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ასეთი განწყობა ჩამოყალიბდეს და მომავალში სხვებს უფრო გაუმართლებთ, იქნება მეტი ნიჭიერი ფეხბურთელი და კარგი შედეგი. კამათს კი ვერასდროს ავცდებით, ყველას ყოველთვის ექნება თავისი არგუმენტი. ახლა ერთმანეთის განკითხვის დრო არ არის. დღეს ბედნიერი ვარ, რომ სახელმწიფო ფეხბურთს ასეთ ყურადღებას აქცევს — გვექნება 10 ახალი სტადიონი, 2 თანამედროვე სტანდარტების საწვრთნელი ბაზა, იქნება დიაგნოსტიკური ცენტრი, გვაქვს ძალიან მაგარი ეროვნული სტადიონი და იქ დამონტაჟებული ვიდეოანალიზის სისტემა... მოკლედ, ყველაფერი, რაც აუცილებელია ფეხბურთის განვითარებისთვის. ეს ყოველივე ჯერ მყიფეა და ახლა იდგამს ფეხს, შედეგებს კი მოგვიანებით მოვიმკით. სწორი გზით მივდივართ. ტოპმიოლერი კი, იმედი გვაქვს, იმ მიმართულებებს დატოვებს, რომელიც მერე მის მემკვიდრეებს გამოადგებათ.

**ქობა ინასარიძე**

# 17 და 19-წლამდელთა მეტოქეები

**ევროპის** 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა საფრანგეთის ქალაქ კანში გაიმართა და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს მეტოქეებად ჩეხეთი, კვიპროსი და დანია არგუნა.

შესარჩევი ეტაპი გაისად, შემოდგომაზე გაიმართება, ხოლო ელიტ-რაუნდი 2009 წლის გაზაფხულზე ჩატარდება.

ელიტ-რაუნდში მოხვედრა, გარდა პირველ-მეორე ადგილზე გასულებისა, ორ საუკეთესო მესამეადგილოსანსაც შეუძლია.

წინასწარ, ცხადია, ცნობილია, რომ ფინალურ ეტაპს უკრაინა უმასპინძლებს.

ზუსტად იგივე გრაფიკითა და პრინციპით გაიმართება 17-წლამდელთა ევროპის 2009 წლის ჩემპიონატიც. საქართველოს ნაკრებს ელიტ-რაუნდში მოსახვედრად საქმის გარკვევა ჩეხეთის, უნგრეთისა და ბოსნიის ნაკრებებთან მოუწევს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## გერმანია

ბუნდესლიგა. XV ტური
ჰანზა 0:3 [illegible]
II ბუნდესლიგა. XV ტური
კარლ ცაისი 2:1 აუე
ზანქტ პაული 3:4 ლაუტერნი
ვეჰენი 1:1 გლადბახი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIX ტური
ემდენი 0:1 ბრაუნშვაიგი
სამხრეთ რეგიონალლიგა XVIII ტური
მიუნხენი (მ) 3:0 ზიგენი
ბურგჰაუზენი 0:0 კარლსრუე (მ)
ელვერსბერგი 2:0 შტუტგარტი (მ)

## ავსტრია

ბუნდესლიგა. XXI ტური
პაშინგი 0:2 ტიროლი
I დივიზიონი. XXIX ტური
შვადორფი 0:0 ბად აუზეე
აუსტრია (მ) 2:1 აუსტრია (ლ)
ლუსტენაუ 0:1 გრატკორნი
კერნტენი 0:0 ლეობენი
პარნდორფი 2:1 ზალცბურგი (მ)

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XVII ტური
აიაჩო 2:1 გრენობლი
ამიენი 1:1 ბრესტი
ანჟერი 1:0 ლიბურნი
ბულონი 1:2 ტრუა
შატორუ 1:1 ბასტია
გენგამი 0:0 დიჟონი
ნიორი 2:2 გენიონი
სედანი 2:2 კლერმონი
რეიმსი 3:3 ლე ავრი

## ინგლისი

ასოციაციის თასი. II ეტაპი
ჰორშემი 1:1 სუონსი

## ბელგია

იუპილერლიგა. XIV ტური
ანდერლეხტი 0:0 სტანდარდი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XIII ტური
უტრეხტი 7:1 სპარტა
II დივიზიონი. XIX ტური
აპელდორნი 0:1 ტელსტარი
კამბური 1:1 ვეენდამი
ეინდჰოვენი 1:0 სიტარდი
ვოლენდამი 1:1 ვალვაიკი
იგლსი 2:3 დენ ბოსხი
ჰაარლემი 1:1 დორდრეხტი
მაასტრიხტი 4:1 ზვოლე
როზენდალი 1:4 ჰელმონდი
ოსი 4:4 ემენი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური
სეტუბალი 1:1 ბელენენსეში

## თურქეთი

სუპერლიგა. XIV ტური
გენჩლერი 2:1 ტრაბზონი

## პოლონეთი

I ლიგა. XVI ტური
ლოძი 0:1 ოდრა
რუხი 1:2 გროცლინი
კრაკოვია 0:2 ლეგია

## უკრაინა

ვიშა ლიგა. XVIII ტური
ტავრია 1:0 ვორსკლა

## რუმინეთი

I ლიგა. XVII ტური
გლ. ბუზაუ 1:1 სტიაუა
პანდურიი 1:3 გლ. ბისტრიცა

## ბულგარეთი

ვიშა ლიგა. XIV ტური
ბელასიცა 1:0 მარეკი

## მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი
უნამი 3:0 სანტოსი



ევროპული კლასის, აი, ისეთის, ნორმალურ ევროკლუბში რომ თამაშობდეს, ასეთი ქართველი ფეხბურთელების ჩამოსათვლელად მეორე ხელის თითები დაგჭირდებათ? სამწუხარო რეალობაა, რომ, რაც წლები გადის, მათი რიცხვი თუ არ მცირდება, არ იზრდება. მაგალითად, შეიძლება, ხუან რომან რიკელმეს წასვლამ დიდი არაფერი ავნოს არგენტინის ნაკრებს, მაგრამ საქართველოს ნაკრებს, ვაი, ერთი კარგი ფეხბურთელიც როგორ აკლდება... მიხვდებით, საითკენაც მიგვყავს ლაპარაკი: აღარ გავიმეორებთ, რატომ

# ხიზანიშვილი და წარსულის წასვლები

ზურაბ ხიზანიშვილმა გუშინწინ გადაწყვეტით გვითხრა, სანამ კლაუს ტოპმიოლერია მწვრთნელი, საქართველოს ნაკრებში აღარ ჩამოვალო. ზურამ ისიც დაამატა, ცხელ გულზე ნათქვამი არავის ეგონოსო...

...მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებისას ყველა ადამიანს ბრაზის დიდი დოზა აქვს. ხშირად, უნებლიედ, სწორედაც რომ ცხელ გულზე ნათქვამი გამოსდით. ეს, უბრალოდ, ადამიანის თვისებაა და „სიტყვას თუ არ შეასრულებს“, იმას არ ნიშნავს, რომ სუსტი ადამიანია და გადაწყვეტილების მიღების უნარი არ აქვს.

საქართველოს ნაკრების ისტორიაში ხიზანიშვილი პირველი არ არის, ვინაც ნაკრებიდან წასულა და მობრუნებულა — ზოგი ადრე, ზოგიც გვიან. მეტიც, ასეთი შემთხვევა ერთი და ორი არ ყოფილა.

მიხეილ ყაველაშვილი დავით ყიფიანის მწვრთნელობისას წავიდა ნაკრებიდან, თემურ ქეცბაიამ ვლადიმერ გუცაევის მწვრთნელობისას დატოვა გუნდი, ისევე, როგორც ალექსანდრე იაშვილმა — თუმცა აკუნა მეორედაც მოხვდა „შერისხულებში“, როცა ნაკრებს გაიოზ დარსაძე წვრთნიდა.

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მომენტი კახა კალაძის სანაკრებო უარი იყო, თუმც მაშინ მწვრთნელი არაფერ შუაში გახლდათ: მიზეზი ძმის, ლევანის გატაცება იყო.

კალაძე მალევე მიბრუნდა ნაკრებში.

გოგა გახოკიძის შემთხვევაც გავახსენოთ: 2003 წელს ალბანეთში მატჩისას ფედერაციის პრეზიდენტთან და ამავდროულად, ნაკრების მწვრთნელ მერაბ ჟორდანიასთან კონფლიქტის გამო წავიდა და მერე მობრუნდა.

გოჩა გოგრიჭიანი 1997 წელს ინგლისთან სტუმრად 0:2 მარცხის შემდეგ აიბარგა. მაშინ ნაკრებს დავით ყიფიანი წვრთნიდა, თუმცა გოგრიჭიანი ნაკრებში აღარ მიბრუნებულა.

მაგრამ, მგონი, აღარც ნაკრების თავკაცს ჰქონდა მისი გამოძახების სურვილი — ფეხბურთელი უკვე კარიერის დასალიერზე იყო.

შოთა არველაძეს ორჯერ ჰქონდა ასეთი მომენტი: პირველად რუსეთთან საშინაო მატჩის წინ, როცა ნაკრებს ივო შუშაკი წვრთნიდა. შოთა ერთი თვის თავზე, შუშაკის თავკაცობისასვე დაბრუნდა. მეორედ კი ნაკრების ბომბარდირი 2005 წელს, ალენ ჟირესის მწვრთნელობისას საბერძნეთთან მარცხის შემდეგ წავიდა, მაგრამ იმავ წელს ისევ მოირგო ნაკრების მაისურა.

შოთა ახლაც წასულია გუნდიდან, თუმც ასაკისა და ტრავმების გამო. თანაც, ჩვენთან საუბარში არ გამორიცხა, რომ მომავალ შესარჩევ ციკლში ითამაშებს.

კახა ცხადაძემ ვლადიმერ გუცაევის დროს მიატოვა ნაკრები. გუცაევმა მას კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა, რაც, ცხადია, სასიამოვნო ამბავი ნამდვილად არ იყო. ცხადაძეც მობრუნდა ნაკრებში...

ყურადღებით დაავაკვირდეთ: ზურაბ ხიზანიშვილი პირველია, ვინაც კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისას დატოვა საქართველოს ნაკრები, იმის თქმა გვინდა, რომ ტოპის წინამორბედებსაც ჰყოლიათ „შერისხულები“.

ყაველაშვილი, ქეცბაია, გოგრიჭიანი, არველაძე, ცხადაძე, გახოკიძე, კალაძე — მგონი, საკმაოდ ვრცელი და მეტყველი სიაა, რომელსაც ახლა ხიზანიშვილიც შეუერთდა. მაგრამ, იმედია, ზურაც თავისი წინამორბედების გზას დაადგება და...

აკი ვთქვით, საქართველო ძალიან ღარიბია მაღალი კლასის ფეხბურთელებით, მარცვალ-მარცვალ გროვდება გუნდი და რიკელმე მაგალითად რომ მოვიყვანეთ, „ხიზანას“ კი არ ვადარებთ, უბრალოდ, ვინძლო, რიკელმეს გამოკლება იმდენად არ დაეტყოს არგენტინას, რამდენადაც ხიზანიშვილის არყოფნა დაეტყობა საქართველოს.

**ილია ნანობაშვილი**

# კალაძემ ლივერპული უარყო

## კარიერას ალბათ მილანში დაასრულებს

**საქართველოს** ნაკრების და იტალიური „მილანის“ მცველმა კახა კალაძემ ინგლისური „ლივერპულის“ ინტერესი უარყო.

გეცოდინებათ, ორიოდ დღის წინ ლივერპულელთა თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა დაიჩივლა, კლუბის პატრონები ფულს არ მაძლევენ, არადა, 4 მილიონ გირვანქად კალაძის შეძენა მინდაო...

„ის, რომ „ლივერპული“ მეპატიჟება, გაზეთებიდან ვიცი. გავეცანი ბენიტესის კომენტარსაც, თუმცა ფაქტია, პირადად არავინ დამკავშირებია. უკვე შვიდი წელია, „მილანში“ ვთამაშობ, ამ გუნდთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწიე და ვფიქრობ, კარიერასაც აქ დავასრულებ“ — განაცხადა გუშინ კახა კალაძემ.

სხვა რა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**კახა შალამბერიძე**



# როგორ გაასწრო ბურდულს მანჩესტერის მატარებელმა

## მინდა, ჩემი შვილი ჩემს გზაზე დადგეს

„როცა ის მინდორზეა, თავისი გუნდის მოგებისთვის თავს დებს. ქართული სისხლი თავისას შვრება, იმპულსური, ენერგიული და ცოტა აგრესიული ფეხბურთელია, ყოველთვის მზადაა მეგობრების დასახმარებლად“ — ასე ახასიათებს ერთ-ერთი უკრაინული ვებგვერდი ლუგანსკის „ზარიას“ ნახევარმცველ ლადო ბურდულს და ვრცელ ინტერვიუს აქვეყნებს...

**— ბავშვობიდან დავიწყოთ. როგორ მოხვდი ფეხბურთში?**

— ჯერ კიდევ ბაგა-ბაღის ასაკში დავიწყე თამაში. სიმართლე გითხრათ, მშობლებს მაინცდამაინც არ უხაროდათ ფეხბურთით ჩემი გატაცება. დიდი როლი ითამაშა ერთ-ერთი საფეხბურთო სკოლის მწვრთნელმა, ვინაც ეზოში მნახა და ჩვენთან სახლში მოვიდა.

**— ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი?**

— უნგრელი ატილა ვიხრი.

**— უნგრელი რაღას აკეთებდა თბილისში?**

— მუშაობდა, ბავშვთა ფეხბურთზე დისერტაციას იცავდა. მის ხელში გავიზარდე, ჩვენს გუნდს კი „ვაკე“ ერქვა.

**— პროფესიონალური კარიერა სად დაიწყე?**

— 15 წლისა თბილისის „დინამოში“ მოვხვდი, თუმც, ცხადია, მეორე გუნდში. ზურაბ მაისურაძე გვწვრთნიდა. ერთ წელიწადში ძირითად გუნდში გადავედი — ეს ცხონებული დავით ყიფიანის ინიციატივით მოხდა.

**— ასეთი გამოცდილი მწვრთნელის ხელში ბევრს ისწავლიდი...**

— რა თქმა უნდა, თანაც, რა ფეხბურთელები გვყავდა: ქინქლაძე, არველაძე, ჯამარაული, დემეტრაძე... ახლა ამ სახელებს მთელ ევროპაში იცნობენ, მე კი მათ გვერდით ბევრი ვისწავლე.

**— „დინამოში“ დიდხანს იყავი?**

— საკმაოდ. წარმოიდგინეთ, 17 წლისა საქართველოს ჩემპიონი გავხდი, „დინამომ“ მე ყველაფერი მომცა.

**— მერე კი გადაწყვიტეთ, თბილისის „დინამო“ კიევურ „დინამოზე“ გაგეცვალათ...**

— იყო ასეთი ვარიანტი. კიეველებმა თანამეგობრობის თასზე მნახეს, თუმცა კიევური კარიერა არ გამომივიდა, იქ თვენახევარი ვიყავი, შეკრებაზე ფეხი მოვიტეხე და ექვსი თვე ველარ ვითამაშე.

**— „კრივბასში“ როგორ მოხვდი?**

— ტრავმის შემდეგ ცოტა ვითამაშე თბილისის „დინამოში“, მერე კი დამირეკეს „კრივბასიდან“, რომელსაც ალექსანდრ კოსევიჩი წვრთნიდა.

**— კოსევიჩი ახლაც შენი მწვრთნელია, ოღონდ „ზარიაში“. მას როგორ დაახასიათებდი?**

— ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ — კოსევიჩი, ძალიან კარგი სპეციალისტია, საინტერესო ვარჯიშები აქვს და მასთან ურთიერთობა ერთი სიამოვნებაა.

**— „ზარიაში“ როგორ მოხვდი?**

— კიევის „დინამოში“ რომ არ ამეწყო საქმე, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავედი. მერე ინგლისური პრემიერლიგის ვარიანტიც მქონდა, „მანჩესტერ სიტის“ ვუნდოდი.

**— და რამ შეგიშალა ხელი?**

— უბრალოდ, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ვიფიქრე, იქ რომ ჩავალ, ძირითადში მოხვედრა გამიჭირდება-მეთქი. არ ვმალავ, ძლიერ გუნდში თამაში ძალიან მინდოდა, სხვა წინადადებებიც მქონდა, მაგრამ სანამ არჩევაში ვიყავი, სატრანსფერო ფანჯარა დაიკეტა და მატარებელიც წავიდა.



**— წლეულს, „ზარიას“ გარდა სხვაგან გადასვლა შეგეძლო?**

— ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ მიწვევდნენ, მაგრამ კოსევიჩის ფაქტორმა „ზარია“ ამარჩევინა. ძალიან ბევრს ნიშნავს, რამდენად უნდიხარ გუნდს. „ზარიასგან“ და კოსევიჩისგან კი ეს ვიგრძენი.

**— კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებ?**

— მწვრთნელობა მინდა. ერთი ვიცი, ფეხბურთში დავრჩები.

**— სანაკრებო მონაგარზეც გვითხარი...**

— 21 წლისა მოვხვდი ეროვნულ ნაკრებში, 21 მატჩში 3 გოლი გავიტანე.

**— „ზარიაში“ ვისთან მეგობრობ?**

— გიორგი ციმაკურიძესთან და ტარას ლუცენკოსთან.

**— უკრაინული სამზარეულოდან რა მოგწონს?**

— პელმენი, ბორში და სალა. სპირტიანი სასმელებიდან ღვინო ყველაფერს მირჩევნია, ასევე შემიძლია ცოტა ვისკის დალევა...

**— შენ თვითონ იცი კერძის მომზადება?**

— დიახ, მწვადის.

**— ოჯახზეც ვთქვათ...**

— ორი ბავშვი მყავს, ორივე ბიჭი — ერთი ხუთის, მეორე კი სამი წლისა. მყავს საცოლე, იმედია, ქორწილი მალე გვექნება. შვილები ლუგანსკში მყავს.

**— გინდა, რომ შენი შვილებიც ფეხბურთელები გამოვიდნენ?**

— უფროსს ფეხბურთი არ აინტერესებს, უმცროსი კი დარბის ბურთით. რა თქმა უნდა, მინდა, რომ ერთი მაინც გაჰყვეს ჩემს გზას...

**— როგორი გოგონები მოგწონს და სიყვარულის თუ გჯერა?**

— ერთი ნახვით შეყვარებისა არ მჯერა. სიყვარული, ხომ, პირველ რიგში, ურთიერთობაა. ჩვეულებრივი კაცი ვარ, უბრალო, ჭკვიანი და სიმპათიური გოგონები მომწონს, როგორც ამბობენ, მთავარია, კარგი ადამიანი იყოს.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა · I წრე. 13 ტური



ზესტაფონელი ჟილვან ვიეირა და ამერელი გიგი დადავა ერთმანეთს დღესაც არ დაზოგავენ

გიორგი ამილახვარის ფოტო

# ამერს შეუძლია, პირველი იყოს. ზესტაფონსაც...
## ათასი ყური, ათასი თვალი: გლდანი

პირველი წრის ბოლო ტური ქვეყანაში დატრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ბოლოსწინად აქცია და შემოდგომის ჩემპიონის ბედი ერთი კვირით გადაიდო, თუმც ამ ტურში ერთი ისეთი ჯახია...

ქართული საფეხბურთო სამყაროს ეპიცენტრი დღეს გლდანში იქნება, სადაც „ამერი“ ლიდერ „ზესტაფონს“ დაუხვდება და შეეცდება, პირველი მარცხი აგემოს. არადა, „ამერს“ ამის გამოცდილება კი აქვს. თანაც, გლდანელებმა ჩემპიონატი არეულად დაიწყეს და ლიდერთან ათქულიანი ჩამორჩენა აქვთ. ამ ჰანდიკაპის შემცირებას „ამერი“ დღესვე შეეცდება, თუმც არც იმერლებს სძინავთ — „ზესტაფონი“ მიმდინარე ჩემპიონატში წაუგებელია, ხოლო შარშანდლიდან მოყოლებული 33 მატჩია, წაგების სიმწარე არ უნახავს.

ბოლოს „ზესტაფონი“ მცხეთაში, „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:3 დამარცხდა 2006 წლის 27 აგვისტოს.

არც ერთ გუნდს დაშავებულ-დისკვალიფიცირებული არ ჰყავს. გლდანელებს ამ მატჩისთვის გოცირიძე-დობროვოლსკის დუეტი დაუბრუნდებათ, რომლებმაც დისკვალიფიკაციის გამო სათასო მატჩი გამოტოვეს.

მოკლედ, გლდანში მაგარი სანახაობა იქნება.

გლდანში მარტო „ამერი“ — „ზესტაფონი“ არ არის: ცალი თვალით მათკენ „დინამოც“ იყურება. თუ „ამერმა“ ლიდერს ქულები აართვა, „დინამოს“ გაპირველების კარგი შანსი აქვს, რადგან გორის „დილას“ მასპინძლობს და მასთან სამი ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეს. ეს მატჩი ალბათ ერთადერთია ტურში, სადაც პროგნოზის გამოცნობა არ უნდა გაჭირდეს.

როგორც არ უნდა დამთავრდეს თამაში მცხეთაში, „ვიტ ჯორჯია“ მაინც მესამე ადგილზე დარჩება. „მესხეთთან“ მატჩში ვეტერინარები ფავორიტებად კი ითვლებიან, თუმც ახალციხელები სენსაციების დიდი მოყვარულნი რომ არიან, ამ სეზონში რამდენჯერმე დაამტკიცეს. მით უფრო, რომ სენსაციების გამოცხობა არც ვიტელებს უჭირთ — სტუმრად „დინამოს“ მოუგეს, ხოლო „ზესტაფონს“ ფრედ ეთამაშნენ. სამაგიეროდ, იხეთი ქულები დაფანტეს, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ.

კიდევ ერთი დებიუტანტი, ზუგდიდის „მგლები“ კურორტზე დასასვენებლად ნამდვილად არ ჩავა. ზუგდიდელებმა სეზონი კარგად დაიწყეს და ერთი ხანობა ხუთეულშიც იწონებდნენ თავს, თუმც ბოლო ტურებში წაგებას უხშირეს და ნახსენებ ხუთეულს კვალში ჩაუდგნენ.

„ბორჯომი“ — გუნდი გამოცანა. ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდები სტაბილურად თამაშობენ და რამდენად აუღებელია მათი კარი, ამაზე ცხრილში გაშვებული ბურთების გრაფაც მეტყველებს. ერთია, მოკლე სათადარიგოთა სკამის პატრონი „ბორჯომი“ „მგლებთან“ შოთა ბაბუნაშვილსა და ლევან აკობიას მოისაკლისებს დისკვალიფიკაციის გამო. ეს კონკრეტულად ამ მატჩისთვის, თორემ პირველი წრის მერე „ბორჯომს“ ყველა ის ფეხბურთელი დატოვებს, რომლებიც ნახევარი სეზონით ჰყავდათ იჯარით აყვანილი. ამიტომ ხაჩიძე ქულების დაგროვებას მანამდე ეცდება, სანამ საფრთხე მეორე წრის კარზე მიუკაკუნებდეს.

ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ ტიტულის შენარჩუნება კი გაუჭირდება, მაგრამ სამეულისთვის იბრძოლებს და სამი ქულის აღებას გორში, ცხინვალის „სპარტაკთან“ შეეცდება. ცუდი სტარტის შემდეგ ანატოლი პისკოვეცის ფეხბურთელები ფერზე მოვიდნენ და ქულების მოხვეჭა დაიწყეს. თავის მხრივ, ქულები ცხინვალელებსაც სჭირდებათ, რადგან საგაისოდ პროფესიული ფეხბურთის ლიგა უმაღლესში გუნდების შემცირებას აპირებს და „სპარტაკიც“ იმ ზონაშია, გავარდნის შიში რომ აქვს.

ახალ მწვრთნელ ავთანდილ კუნჭულიას ხელში „ბათუმმა“ ერთი თამაში უკვე მოიგო, თუმც მხოლოდ თასზე, ჩემპიონატში კი ერთადერთი მოუგებელი გუნდია და ამის გამოსწორებას „ლოკომოტივთან“ ეცდება. ისე, სამი ქულის აღების შემთხვევაში, ზღვისპირელები ბოლო ადგილს თავს მაინც ვერ დააღწევენ.

„ბათუმს“ სამი ქულა კი სჭირდება, მაგრამ გასაფლანგი ქულები არც „ლოკომოტივს“ აქვს, მით უფრო, აუტსაიდერთან, თორემ, შესაძლოა, პირველ ლიგაში ერთად ჩაქვეითდნენ.

კიდევ ერთი საინტერესო ჯახი „მერანი“ — „სიონია“. ორი წლის წინ „სიონმა“ კი იჩემპიონა, მაგრამ მერე საქმეები აერია და ახლა კონკურენტ „მერანთან“ ეცდება, საქმე საპირველლიგოდ არ გაიხადოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 11 | 10 | 1 | 0 | 24:3 | 31 |
| დინამო | 11 | 10 | 0 | 1 | 28:4 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 2 | 19:8 | 25 |
| ამერი | 11 | 7 | 0 | 4 | 20:11 | 21 |
| ბორჯომი | 11 | 6 | 3 | 2 | 13:6 | 21 |
| ოლიმპი | 11 | 6 | 2 | 3 | 11:8 | 20 |
| მესხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 17 |
| მგლები | 11 | 5 | 0 | 6 | 10:12 | 15 |
| სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:15 | 11 |
| ლოკომოტივი | 11 | 3 | 0 | 8 | 8:18 | 9 |
| სპარტაკი | 11 | 2 | 3 | 6 | 3:12 | 9 |
| მერანი | 11 | 2 | 0 | 9 | 5:22 | 6 |
| დილა | 11 | 1 | 3 | 7 | 7:18 | 6 |
| ბათუმი | 11 | 0 | 1 | 10 | 3:26 | 1 |

გორი. 1 დეკემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**სპარტაკი — ოლიმპი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ელიკაშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი

ბათუმი. 1 დეკემბერი. 14 საათი. ადელი

**ბათუმი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ი. მაჩიტაძე; ჯ. ბუიშვილი

თბილისი. 1 დეკემბერი. 14.10 საათი. ამერი

**ამერი — ზესტაფონი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, ი. კაკაბაძე; ა. ნონიკაშვილი

მცხეთა. 1 დეკემბერი. 14 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — მესხეთი**

მსაჯები: მ. ურუშაძე; ზ. მენთეშაშვილი, გ. ყრუაშვილი; ლ. სილაგავა

თბილისი. 2 დეკემბერი. 14 საათი. ეროვნული

**დინამო — დილა**

მსაჯები: გ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ზ. ასკაროვლი; ვ. ელისაბედაშვილი

ბორჯომი. 2 დეკემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — მგლები**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ხუციშვილი, კ. ბერაძე; ზვ. ასკაროვლი

თბილისი. 2 დეკემბერი. 14 საათი. მერანი

**მერანი — სიონი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ს. სპიცინი; ვ. გუმბერიძე

**დისკვალიფიცირებულნი:**

არდალიონ მიქაბერიძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია), შოთა ბაბუნაშვილი (ბორჯომი), ლევან აკობია (ბორჯომი), გიორგი ხიდაშელი (სპარტაკი)

ფეხბურთი
თბილისი – ამერი
უმაღლესი ლიგა. მეცამეტე ტური
1 დეკემბერი
ამერი — ზესტაფონი
თბილისი ზესტაფონი
დასაწყისი 14.10 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა · გადადებული ტური

**აღმოსავლეთი**

ოლიმპი 2 1:0 ვიტ ჯორჯია 2
ნ. დინ-მერანი 2 1:6 გაგრა
კახეთი 4:1 ოლიმპიკი

დღეს
ჩიხურა — დინამო 2

3 დეკემბერი
მეშაძრე — ამერი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 15 | 10 | 4 | 1 | 37:23 | 34 |
| მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:13 | 25 |
| დინამო 2 | 14 | 7 | 4 | 3 | 22:13 | 25 |
| ჩიხურა | 14 | 7 | 3 | 4 | 27:21 | 24 |
| ოლიმპი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:15 | 21 |
| კახეთი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:25 | 18 |
| ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:26 | 17 |
| ოლიმპიკი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:29 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 15 | 0 | 2 | 13 | 14:46 | 2 |

**დასავლეთი**

ხობი 1:1 ტორპედო

ხვალ
მალაროელი — მარტვილი

4 დეკემბერი
მეშახტე — ფაზისი

5 დეკემბერი
უნივერსიტეტი — კოლხეთი

8 დეკემბერი
ზესტაფონი 2 — სამტრედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 14 | 12 | 2 | 0 | 33:9 | 38 |
| მარტვილი | 14 | 8 | 3 | 3 | 20:10 | 27 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 25:16 | 25 |
| მეშახტე | 14 | 8 | 0 | 6 | 25:24 | 24 |
| ზესტაფონი 2 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:10 | 20 |
| ხობი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:21 | 17 |
| კოლხეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| უნივერსიტეტი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:16 | 14 |
| ფაზისი | 14 | 2 | 2 | 10 | 16:35 | 8 |
| სამტრედია | 14 | 1 | 2 | 11 | 11:35 | 5 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მუშტი-კრივის სპარტაკიადა პრაღაში



კლოზეს გოლმა „ბაიერნი“ მხოლოდ დროებით დააწინაურა

**„ჰელსინგბორგი“** პირველი გუნდია, რომელმაც მეთექვსმეტედფინალის საგზური გაინაღდა. შვედებმა ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერ „აუსტრიას“ მეორე ტაიმის 23-წუთიან მონაკვეთში სამი გოლი გაუტანეს. ჰენრიკ ლარსონის პასით სკულასონმა შეაგდო და მასპინძლები დააწინაურა, მერე კი ოთხ წუთში რაზაკ ომოტოიოსიმ დუბლი შეასრულა.

გერმანელი მწვრთნელების ბერძნულ-თურქული დუელი „გალათასარაის“ გამარჯვებით დასრულდა. ევალდ ლინენის „პანიონიოსმა“ პირველ ტაიმში არ გაუშვა კარლ-ჰაინც ფელდკამპის გუნდისგან, მაგრამ შესვენების შემდეგ ჰაქან შუქური შევიდა და უმალ საგოლე პასი მიითვალა, რომელიც სერქან ჩალიკმა შეირგო. შემდეგ ჩალიკის წაქცევისთვის გრიგორიოს მარკოსი გააძევეს და მასპინძელთა კარში პირველი პენალტი დანიშნეს. თერთმეტი მეტრიდან რიგობერტ სონგმა გაიტანა, ბოლოს კი შუქურმა მესამე გოლი შეაგდო. „გალას“ აქამდე ორივე მატჩი ჰქონდა წაგებული და ამ გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლის შანსი გააცოცხლა.

„ნიურნბერგმა“ პირველი ქულა სანკტ-პეტერბურგში მოიპოვა — რუსეთის ჩემპიონ „ზენიტს“ თითქმის ერთი საათის განმავლობაში უგებდა ხარისტეარის გოლით, მაგრამ მეორე ტაიმში დაღლა დაეტყო და მასპინძელთა შტურმს ვეღარ გაუძლო. პოგრებნიაკმა და შეცვლაზე შესულმა იონოვმა სამ წუთში „ზენიტი“ დააწინაურეს, თუმც სტუმარმა ბენკომ თავური დარტყმით გაათანაბრა.

ალკმაარში ქართველმა არბიტრებმა (ლევან ფანიაშვილი, ზაზა მენთეშაშვილი, ლევან მიქელაძე) იმსაჯეს. ფეხმოტეხილი ლუის ვან გალის გუნდმა „ლარისას“ დემბელეს გოლით მოუგო და ბერძნული კლუბი ჯგუფში ჩატოვა.

„ლოკომოტივში“ რინატ ბილიალეტდინოვის დებიუტი მარცხიანი გამოდგა. მალხაზ ასათიანისგან ოლბეკის წაქცევის გამო დანიშნული პენალტი ნორდსტრანდმა გაიტანა და „კოპენჰაგენმა“ ჯგუფში პირველი მატჩი მოიგო.

მადრიდში „ატლეტიკო“-„აბერდენის“ მატჩამდე გუნდების ფანები სტადიონის გარეთ ერთმანეთს დაეჯახნენ და პოლიციამ ძლივს გააშველა. მოედანზე კი მასპინძლებმა იმარჯვეს ფორლანის პენალტითა და ლანგფილდის საკუთარ კარში გატანილით.

„ელფსბორგმა“ პირველი ტაიმი მოუგო „ბოლესლავს“, მაგრამ მეორეში სტუმართა მწვრთნელმა ტაბორსკი შეუშვა, რომელმაც გაათანაბრა და იშტაზე მოსულმა ჩეხებმა კიდევ ორი გოლი შეაგდეს.

ათენში კი „ფიორენტინას“ მცველს ბალძარეტის არ გაუმართლა, რადგან „იები“ ოსვალდოს გოლით იგებდნენ და ბალძარეტიმ თავის კარში გაიტანა, რითაც აეკ-ს ქულა აჩუქა.

„ჰამბურგმა“ მწვრთნელ ჰუბ სტევენსს, რომელსაც ხუთშაბათს 54 წელი შეუსრულდა, საჩუქრად მოგება მიართვა. რაფაელ ვან დერ ვარტმა ერთი გაიტანა და ერთიც საგოლე პასი მიითვალა. ბოლო წუთზე კი ზიდანმა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო.

„სპარტასა“ და „სპარტაკის“ მატჩი ფრედ დასრულდა, მაგრამ გუნდების ქომაგებმა ტრიბუნაზე რალაც ვერ გაიყვეს და შესვენებაზე დიდი ჩხუბი ატყდა. პრაღის პოლიციამ სტუმართა ათი ფანი დააკავა.

„ბაიერნმა“ ზედიზედ მეორე მატჩში ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. წინა ტურში „ბოლტონთანაც“ იგებდა და გაუთანაბრეს. „ბრაგასთანაც“ ასე მოხდა, მაგრამ ჰიცფელდის გუნდი ჯგუფში მაინც პირველ ადგილზეა და მეთექვსმეტედფინალში გასვლაც ალბათ არ გაუჭირდება.

„ტოტენჰემმა“ ქომაგებს თრილერი აჩვენა — პირველი ტაიმი 0:2 წააგო, მაგრამ მეორის დაწყებიდან ცხრამეტ წუთში სამი გოლი გაუტანა „ოლბორგს“, რომელიც ბოლო ადგილზე დაეშვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## უეფას თასი

ჯგუფური ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

**ზენიტი 2:2 ნიურნბერგი**

0:1 ხარისტეასი (26), 1:1 პოგრებნიაკი (76), 2:1 იონოვი (79), 2:2 ბენკო (83)

**ალკმაარი 1:0 ლარისა**

1:0 დემბელე (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ზენიტი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნიურნბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ლარისა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

### B ჯგუფი

**ლოკომოტივი 0:1 კოპენჰაგენი**

0:1 ნორდსტრანდი (62პ)

**ატლეტიკო 2:0 აბერდინი**

1:0 ფორლანი (45 პ), 2:0 ლენგფილდი (61 სკ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| კოპენჰაგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| აბერდინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### C ჯგუფი

**ელფსბორგი 1:3 ბოლესლავი**

1:0 სვენსონი (32), 1:1 ტაბორსკი (67), 1:2 მენდი (80), 1:3 ვორიშეკი (90)

**აეკ 1:1 ფიორენტინა**

0:1 ოსვალდო (30), 1:1 ბალზარეტი (35 სკ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 8:3 | 5 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბოლესლავი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| აეკ | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ელფსბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:10 | 1 |

### D ჯგუფი

**ჰამბურგი 3:0 რენი**

1:0 ვან დერ ვაარტი (30), 2:0 ჩუპო-მოტინგი (84), 3:0 ზიდანი (90პ)

**ბრანი 2:1 დინამო**

1:0 ბიარნასონი (45 პ), 1:1 ვუკოევიჩი (48) 2:1 ბაკე (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბრანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| რენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

### E ჯგუფი

**სპარტა 0:0 სპარტაკი**

**ციურიხი 2:0 ტულუზი**

1:0 ტიპინენი (40), 2:0 რაფაელი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტულუზი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### F ჯგუფი

**ბოლტონი 1:1 არისი**

0:1 ტონი (44), 1:1 გიანაკოპულოსი (90)

**ბრაგა 1:1 ბაიერნი**

0:1 კლოზე (47), 1:1 ლინცი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| არისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ბოლტონი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ბრაგა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ცრვენა ზვეზდა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

### G ჯგუფი

**ხეტაფე 1:2 ჰაპოელი**

0:1 ბადირი (5), 0:2 დეგო (31), 1:2 ერნანდესი (90 პ)

**ტოტენჰემი 3:2 ოლბორგი**

0:1 ენევოლდსენი (3), 0:2 რისგარდი (38), 1:2 ბერბატოვი (47), 2:2 მალბრანკი (51), ბენტი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოტენჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჰაპოელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |

### H ჯგუფი

**პანიონიოსი 0:3 გალათასარაი**

0:1 სერკანი (60), 0:2 სონგი (63პ), 0:3 შუკური (82)

**ჰელსინგბორგი 3:0 აუსტრია**

1:0 სკულასონი (47), 2:0, 3:0 ომოტოიოსი (66, 70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| პანიონიოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| აუსტრია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

ორი ან მეტი გუნდის თანაბარქულიანობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

1) ბურთების უკეთეს სხვაობას
2) მეტ გატანილ გოლს
3) სტუმრად მეტ გატანილ გოლს
4) მეტ მოგებას
5) სტუმრად მეტ მოგებას.

ეს მაჩვენებლებიც თუ თანაბარი იქნება, უკეთეს გუნდს უეფას საკლუბო და სანაკრებო რეიტინგი გამოავლენს ბოლო ხუთი სეზონის კოეფიციენტების მიხედვით.



# სუპერბუცი ჩესკოსთვის

**„რომას“** კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი 23 ოქტომბრის მერე დაშავებულია. მისი ტრავმა იმაზე სერიოზული გამოდგა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ. ექიმების თქმით, შესაძლოა, ჩესკო მინდორს 5 დეკემბერს „კალიარისთან“ გადადებულ მატჩში დაუბრუნდეს.

როგორც ირკვევა, ტოტის სპეციალურ ბუცს უკერავენ, რომელიც მის კოჭს განსაკუთრებულად დაიცავს და ბურთთან ფეხის შეხებისას თუ დარტყმისას, ფეხბურთელი ნაკლებ ტკივილს იგრძნობს.

„იმედი გვაქვს, რომ ტოტი მინდორს „კალიარისთან“ მატჩში დაუბრუნდება. მისთვის სპეციალურ ბუცს ვამზადებთ, რომელიც ფრანჩესკოს კოჭს საბოლოო მოშუშებამდე დაიცავს. უკვე რამდენიმე დღეა, ტოტი მსუბუქად ვარჯიშობს. რაც შეეხება სიმონე პეროტას, ფილიპ მექსესს, ალბერტო აკვილანისა და დანიელე დე როსის, მათი გამოჯანმრთელების პროცესიც კარგად მიმდინარეობს“ — თქვა „რომას“ მთავარმა ექიმმა მარიო ბროციმ.

**ბოკი ბანდელაძი**

# ჰოჯსონი წავიდა და ეძებს



**ფინეთის** ნაკრების მწვრთნელი როი ჰოჯსონი გუშინ გადადგა. 60 წლის ინგლისელი ახალ სამუშაოს ეძებს. შესაძლოა, მას ირლანდიის, შოტლანდიისა ან ინგლისის ნაკრების თავკაცობა შესთავაზონ. „ამ ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციებთან მოლაპარაკებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდები, თუ ამას ოფიციალური სახე ექნება“ — თქვა ჰოჯსონმა.

ფინეთმა ევრო 2008-ის შესარჩევი კარგად დაიწყო და ჯგუფიდან გასვლის შანსი ბოლო ტურამდე ჰქონდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. შედარებისთვის, ფინელებმა 24 ქულა მოაგროვეს, ერთით მეტი, ვიდრე ინგლისელებმა. სკანდინაველთა ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, გათავისუფლებული მწვრთნელი შემცვლელის მოძიებაში დაეხმარება.

როი ჰოჯსონს ფეხბურთელობისას „კრისტალ პალასში“, „ტონბრიჯში“, „გრეივსენდში“ და „მეიდსტოუნში“ უთამაშია. სამწვრთნელო კარიერა 1976 წელს „ჰალმსტადში“ დაიწყო, მერე კი მთელი მსოფლიო მოიარა. მას უმუშავია „ბრისტოლში“, „იორებროში“, „მალმოში“, „ქსამაქსში“, „ინტერში“, „ბლეკბერნში“, „გრასჰოპერში“, „კოპენჰაგენში“, „უდინეზესა“ და „ვიკინგში“, სანაკრებო დონეზე კი ფინეთამდე შვეიცარიას და საემიროებს წვრთნიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უშიშარი კაპელო



„ეს ქვეყანა საფეხბურთო სიგიჟემ შეიპყრო და ეს ძალიან მაშინებს" — ამბობს ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის" ყოფილი თავდამსხმელი, ლეგენდარული იან რაიტი. რაიტი, რომელიც „სანის" მესვეტედ ქცეულა, ერსა და ბერს შეახსენებს, რომ ევრო 2008-ის შესარჩევში განცდილი ფიასკოს მოსანელებლად ინგლისის ნაკრებსა და მის ქომაგებს თვეები აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ სისწრაფით საქმის გაფუჭება არ ეგების.

„მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი რომ მოვა, ცხოვრება უფრო ადვილი იქნება, ახლა კი საკუთარი თავის რწმენა გვაქვს დაკარგული და ფეხბურთელებიც თავიანთი აზრის გამოთქმას უფრთხიან — განაგრძობს ის, თუმცა იქვე დასძენს, რომ იოლი ცხოვრება იოლი მეტოქეებით არ იქნება განპირობებული — თავს ნურავინ მოიტყუებს, რომ კენჭისყრამ სუსტი მოწინააღმდეგეები გვარგუნა. ხორვატია ხორვატიაა, უკრაინა კი ყოველთვის ძლიერი გუნდია".

თუმცა, რაიტისთვის აშკარაა, რომ ნაკრებს შესაფერისი მწვრთნელი უნდა მოუძებნონ და ყველაზე კარგი იქნება, თუ მას ინგლისელებში გამოძებნიან.

„უცხოელთა შორის კი არის ერთი, ვისაც ეს თანამდებობა ყველაზე მეტად შეეფერება, ეს ფაბიო კაპელოა — ასკვნის ყოფილი ფორვარდი — საქმე ის არის, რომ ჩვენ გვჭირდება ზეწოლის გამძლები ადამიანი. ის, ვინც ცნობილ ფეხბურთელთა კრებულს არ შეუშინდება".

და იმის დასამტკიცებლად, რომ კაპელოს დიდი სახელების არ ეშინია, რაიტი ასახელებს კლუბებს სადაც იტალიელს უმუშავია და ვარსკვლავებს, რომელთაც მის ხელში გაუვლია: ვან ბასტენი, გულიტი, მალდინი, დელ პიერო, რონალდო თუ ბექემი.

„ინგლისელთაგან კი მე ყველას გლენ ჰოდლი მირჩევნია" — დაასგვირგვინა რაიტმა.

**ბაკუნა ქედია**

# სამი პირობა ინგლისისათვის

**თურმე** ნუ იტყვით და 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ჰეთ-თრიკის ავტორი სერ ჯეფ ჰერსტი ინგლისის ნაკრების ახალი მწვრთნელის თანამდებობაზე მხარს ჟოზე მაურინიუს უჭერს.




„ჟოზე დიდებული არჩევანი იქნება — ეს კი ინგლისელთა ყოფილი მწვრთნელის სვენ გორან ერიკსონის სიტყვებია — ის პორტუგალიასა და ინგლისში წარმატებული მწვრთნელია."

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სტივ მაკლარენის შემცვლელის შერჩევა თავის აღმასრულებელ დირექტორს, ბრაიან ბორვიკს დაავალა, რომელმაც კარგად იცის, რომ „ჩელსის" ყოფილი თავკაცი ინგლისელ ქომაგთა ნიმერი პირველი კანდიდატია.

ერიკსონმა, რომელიც დღეს „მანჩესტერ სიტიში" გამოდის და ვინც ინგლისელთა ეროვნულ გუნდს ექვსი წლის განმავლობაში წვრთნიდა, განაცხადა:

„ჩემთვის გასაგებია თუ რატომ უნდათ ფანებს თავიანთი ნაკრების მწვრთნელად მაურინიუს ხილვა. ის წარმატებული მწვრთნელი და პრესის თვალში მრავალმხრივი და გამორჩეული პიროვნებაა. ამავდროულად, მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე დიდი თანამდებობა ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა გახლავთ. იმისათვის, რომ ინგლისის ნაკრების წარმატებული თავკაცი გახდე, ყველა თამაში უნდა მოიგო, პირადი ცხოვრება არ უნდა გქონდეს და კარგი იქნება თუ ხელფასსაც ცოტას მიიღებ. თუ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებ, შემოთავაზებული საქმისთვის იდეალური კაცი ყოფილხარ".

**ბაკუნა ქედია**

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | : | არსენალი |
| ბლეკბერნი | : | ნიუკასლი |
| ჩელსი | : | ვესტ ჰემი |
| პორტსმუთი | : | ევერტონი |
| რედინგი | : | მიდლსბრო |
| სანდერლენდი | : | დერბი |
| უიგანი | : | სიტი |
| **ხვალ** | | |
| ლივერპული | : | ბოლტონი |
| ტოტენჰემი | : | ბირმინგემი |
| **ზეგ** | | |
| მანჩესტერი | : | ფულემი |

## ინგლისი

# კერბიშლიმ გრანტს ჩაქუჩი ჩაარტყა

**ზედიზედ** ოთხი მატჩის მომგები „ასტონ ვილა" პირველადგილოსან „არსენალს" უმასპინძლებს, რომელიც პრემიერლიგაში დაუმარცხებელია და უკვე შვიდი წელია, ბირმინგემში არ მარცხდება. მარტინ ონილის „ვილა" ამჟამად კარგ ფორმაშია. ხსენებულ ოთხ შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და ერთი გაუშვა, ხოლო ბოლოს გადადებულ მატჩში სტუმრად „ბლექბერნი" 4:0 გაანადგურა. „არსენალს" სავარაუდოდ ფრანსესკ ფაბრეგასი დააკლდება, რადგან „სევილიასთან", ჩემპიონთა ლიგაში დაშავდა. მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით 10 დღე დასჭირდება. სამაგიეროდ, მომჯობინდა მატიე ფლამინი და ძირითად შემადგენლობაში გალასთან და ადებაიორთან ერთად იქნება, რომლებიც „სევილიასთან" მწვრთნელმა დაასვენა. დიაბი და ვან პერსი ბირმინგემში ვერ ითამაშებენ, ხოლო გაელ კლიშის და ალექსანდრ გლების გამოჩენა საეჭვოა.

ლონდონურ დერბიში „ჩელსი" „ვესტ ჰემს" დაევჯახება. „ჩაქუჩების" მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ ჩელსელი კოლეგის ავრაამ გრანტის გასაკრიტიკებლად მოიცალა. კერბიშლის აზრით, მაურინიუს წასვლის შემდეგ გრანტს განსაკუთრებულად არაფერი შეუცვლია ტაქტიკაში და გუნდი ძველებურად თამაშობს. „ვესტ ჰემს" ხუთი ტურია, არ წაუგია, ხოლო „ჩელსი" ახალი მწვრთნელის ხელში 13 მატჩია, არ დამარცხებულა. „ჩაქუჩებს" ტრავმების გამო ლი ბოიერი და კრეიგ ბელამი დააკლდებათ. დინ ეშტონი, სკოტ პარკერი და ფრედი ლიუნგბერგი გამოჯანმრთელდნენ.

წინა ტურში „მანჩესტერის" მძლეველი „ბოლტონი" „ლივერპულს" ესტუმრება და საეჭვოა, რომ ქულა წაიღოს. რაფაელ ბენიტესის გუნდი აღმავლობის გზაზეა — ბოლო სამიდან ორი მოიგო და გოლი არ გაუშვია, თან ზედიზედ ხუთი წელია, „ბოლტონს" შინ ამარცხებს.

ლივერპულს თანაქალაქელი „ევერტონიც" უხასიათობას არ უჩივის, რადგან ერთი კვირის წინ „სანდერლენდი" 7:1 გაანადგურა, მაგრამ „პორტსმუთთან" ალბათ ასე ვერ გაილაღებს. თაღლითობაში ეჭვმიტანილი ჰარი რედნაპის გუნდი ამ სეზონში კერკეტი კაკალია. ბოლო ექვს ტურში ოთხჯერ იმარჯვეს, თუმც შინ უკვე ორი მატჩია, არ მოუგიათ. „ევერტონს" მცველი ალან სტაბსი დააკლდება.

„ბლექბერნი" ნოემბერში აირია და ოთხ მატჩში ორ ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა. მარკ ჰიუზის შეგირდებმა „ნიუკასლთან" მაინც უნდა იყოჩაღონ, რომელსაც შვიდი ფეხბურელი, მათ შორის მაიკლ ოუენი, ტრავმირებული ჰყავს.

ხვალ „ტოტენჰემთან" „ბირმინგემის" ახალი მწვრთნელის, ალექს მაკლიშის დებიუტი შედგება. მაკლიში შოტლანდიის ნაკრებიდან წავიდა და პრემიერლიგურ ორომტრიალში ჩაერთო. „ბირმინგემში" დიდი შრომა მოუწევს, რადგან გუნდმა ბოლო ექვსიდან ხუთი მატჩი წააგო.



ავრაამ გრანტი ჯერაც დაუმარცხებელია

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | 1:0 | | | | 3:1 | | | | | 2:1 | | | 2:0 | | | 3:2 | 2:0 | 5:0 | 13 | 10 | 3 | 0 | 29:10 | 33 | 7 | 1 | 0 | 20:6 | 22 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 11 |
| 2 | მანჩესტერი | | | | 2:0 | | | | | 2:0 | | | | 0:0 | 1:0 | | | 4:1 | 1:0 | 4:0 | | 14 | 9 | 3 | 2 | 23:7 | 30 | 6 | 1 | 0 | 14:1 | 19 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 |
| 3 | სიტი | | 1:0 | | | | 1:0 | | | | | 3:1 | | 2:1 | | | 1:0 | 3:1 | 1:0 | | 1:0 | 14 | 9 | 2 | 3 | 18:14 | 29 | 8 | 0 | 0 | 13:3 | 24 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 5 |
| 4 | ჩელსი | | | 6:0 | | | | 1:0 | 1:1 | 0:0 | | | 0:0 | | | | 3:2 | | | | | 14 | 8 | 4 | 2 | 21:9 | 28 | 3 | 3 | 0 | 11:3 | 12 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 16 |
| 5 | ლივერპული | 1:1 | | | 1:1 | | | | | | | | 2:0 | | 2:2 | | 0:0 | | | | 6:0 | 13 | 7 | 6 | 0 | 22:6 | 27 | 2 | 4 | 0 | 12:4 | 10 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| 6 | ასტონ ვილა | | 1:4 | | 2:0 | 1:2 | | | 2:0 | | 1:0 | | 2:1 | | | | | | | | 2:0 | 14 | 8 | 3 | 3 | 25:14 | 27 | 5 | 0 | 2 | 11:7 | 15 | 3 | 3 | 1 | 14:7 | 12 |
| 7 | პორტსმუთი | | 1:1 | 0:0 | | 0:0 | | | | | 0:0 | | | 7:4 | | 3:1 | | | | | | 14 | 7 | 5 | 2 | 25:13 | 26 | 2 | 4 | 0 | 11:6 | 10 | 5 | 1 | 2 | 14:7 | 16 |
| 8 | ევერტონი | | 0:1 | | | 1:2 | | | | 1:1 | | | | | | | 3:1 | 2:0 | 7:1 | 2:1 | | 14 | 7 | 2 | 5 | 26:16 | 23 | 4 | 1 | 2 | 16:7 | 13 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| 9 | ბლექბერნი | 1:1 | | 1:0 | | 0:0 | 0:4 | 0:1 | | | | | | 4:2 | | | 2:1 | | | | | 14 | 6 | 5 | 3 | 17:17 | 23 | 3 | 2 | 2 | 8:9 | 11 | 3 | 3 | 1 | 9:8 | 12 |
| 10 | ვესტ ჰემი | 0:1 | | 0:2 | | | | | | | | | | | 1:1 | 1:1 | | 3:0 | 3:1 | 1:1 | | 13 | 5 | 4 | 4 | 19:11 | 19 | 2 | 3 | 2 | 9:7 | 9 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 10 |
| 11 | ნიუკასლი | | | | | 0:3 | 0:0 | 1:4 | 3:2 | | 3:1 | | | | 3:1 | | | | | 1:0 | | 13 | 5 | 3 | 5 | 19:21 | 18 | 4 | 1 | 2 | 11:11 | 13 | 1 | 2 | 3 | 8:10 | 5 |
| 12 | ფულემი | | | 3:3 | | | | 0:2 | | 2:2 | | | | 3:1 | 3:3 | 2:1 | | 1:2 | | | 0:0 | 14 | 2 | 7 | 5 | 18:22 | 13 | 2 | 4 | 2 | 14:14 | 10 | 0 | 3 | 3 | 4:8 | 3 |
| 13 | რედინგი | 1:3 | | | 1:2 | | | | 1:0 | | 0:3 | 2:1 | | | | | | | | 2:1 | 1:0 | 14 | 4 | 1 | 9 | 17:31 | 13 | 4 | 0 | 3 | 8:10 | 12 | 0 | 1 | 6 | 9:21 | 1 |
| 14 | ტოტენჰემი | 1:3 | | | | | 4:4 | | 1:3 | 1:2 | | | | | | | | | | 4:0 | 4:0 | 14 | 2 | 6 | 6 | 24:25 | 12 | 2 | 1 | 3 | 15:12 | 7 | 0 | 5 | 3 | 9:13 | 5 |
| 15 | ბოლტონი | | 1:0 | | 0:1 | | 1:1 | | 1:2 | | | 1:3 | | 3:0 | 1:1 | | | 0:0 | | | | 14 | 2 | 5 | 7 | 12:18 | 11 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 9 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |
| 16 | ბირმინგემი | | 0:1 | | | | 1:2 | 0:2 | | | 0:1 | | | | | 1:0 | | | 2:2 | 3:2 | | 14 | 3 | 2 | 9 | 13:22 | 11 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:12 | 4 |
| 17 | მიდლსბრო | | | | 0:2 | | 0:3 | | | 1:2 | | 2:2 | | | 1:1 | | 2:0 | | 2:2 | | | 14 | 2 | 4 | 8 | 12:26 | 10 | 1 | 3 | 3 | 8:12 | 6 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 |
| 18 | სანდერლენდი | | | | | 0:2 | | | | 1:2 | | 1:1 | 1:1 | 2:1 | 1:0 | | | | | | | 14 | 2 | 4 | 8 | 14:29 | 10 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 | 0 | 2 | 6 | 8:22 | 2 |
| 19 | უიგანი | | | | 0:2 | 0:1 | | 0:2 | | | | | 1:1 | | | | | 1:0 | 3:0 | | | 14 | 2 | 2 | 10 | 10:25 | 8 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 | 0 | 1 | 7 | 5:19 | 1 |
| 20 | დერბი | | | | 0:2 | | | 2:2 | 0:2 | | 0:5 | 1:0 | | | | 1:1 | 1:2 | | | | | 14 | 1 | 3 | 10 | 5:33 | 6 | 1 | 2 | 4 | 5:14 | 5 | 0 | 1 | 6 | 0:19 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტერისა და კოულის ფეხები პეტიმ ამხილა



**მსოფლიო** ჩემპიონმა, „არსენალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ემანუელ პეტიმ ინგლისელი ფეხბურთელები ეგოიზმში დაადანაშაულა. ფრანგის აზრით, ჯონ ტერის და ეშლი კოულს ხორვატიასთან მატჩში თამაში შეეძლოთ, მაგრამ ფეხებს „ჩელსისთვის“ გაუფრთხილდნენ. ხსენებული მცველები სანაკრებო შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ „დერბისთან“ ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. „ძალიან მნიშვნელოვან ფეხბურთელებზე ვსაუბრობ — აღნიშნა პეტიმ BBC-სთან საუბარში — წარმოგიდგენიათ, რომ მე გამომეტოვებინა ნაკრებისთვის გადამწყვეტი მატჩი და სამი დღის შემდეგ კლუბში, ჩემპიონატის შეხვედრაში მეთამაშა?“

ინგლისელთა კაპიტანი ჯონ ტერი 16 ოქტომბრის შემდეგ მუხლის ტრავმის გამო ვერ თამაშობდა და ხორვატიასთან განაცხადში არ იყო, ხოლო ეშლი კოული სათადარიგოებში იჯდა და მოედანზე არ შესულა.

„ძალიან საინტერესო იყო გასული შაბათი — განაგრძო პეტიმ — რადგან „დერბისთან“ პრემიერლიგის მატჩში „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ლიდერი ჯონ ტერი მოედანზე ვნახე. მან 90 წუთი ითამაშა. ასეთი ბიჭები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და არა ფეხბურთზე ან გულშემატკივრებზე. იგივეს ვიტყვი ეშლი კოულზეც, რომელიც ტურის გვერდით „დერბისთან“ შეხვედრისას ძირითად შემადგენლობაში იყო. ამდენად, სანამ ინგლისელები ლეგიონერების სიმრავლეზე და უცხოელ მწვრთნელებზე პრეტენზიას გამოთქვამენ, ჯერ თავიანთი ფეხბურთელების საქციელი გაარჩიონ. ქომაგებს სურთ, რომ საკუთარი ნაკრების მოთამაშეებისგან ერთი წინადადება მოისმინონ: ბოლოში, წაგება ჩვენი ბრალია“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ესტებან კამბიასო

# პასუხი ლაპოს

**„იუვენტუსის“** მფლობელის ლაპო ელკანის მიერ პრესასთან ამასწინათ გაკეთებულ კომენტარებს, ცხადია, გამოხმაურება მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ პრესასთან იშვიათად მოსაუბრე „ბებერი ქალბატონის“ შეფმა ყველაზე მეტი „ინტერზე“ ილაპარაკა და თქვა — ის სკუდეტო, რომელიც ჩვენ წაგვართვეს და „ნერაძურის“ გადასცეს, უსამართლო იყო, ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს „ინტერიო“.

„ნერაძურის“ ბანაკიდან ამას პირველი გუნდის არგენტინელი ნახევარმცველი ესტებან კამბიასო გამოეხმაურა. შედეგად „იუვესა“ და „ინტერს“ შორის დაძაბული ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

„სკუდეტოები დამსახურებულად მოვიგეთ და ეს ყველამ იცის. უსამართლობა და ასეთები, სხვებისგან განსხვავებით, ჩვენთან კავშირში არ არის. ბრწყინვალე გუნდი გვყავს და რასაკვირველია, ყველანაირად ვეცდებით ტიტულის დაცვას. ცხადია, „იუვენტუსი“ ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია, რომელსაც ევროტურნირებზე სათამაშო არ აქვს. ჩვენ კი ვითარების დაბალანსება და ძალების განაწილება გვიწევს, რაც რთულია“ — თქვა კამბიასომ.

**კოკი კანდელაკი**

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ჰანზა | : | ჰანოვერი |
| იხ. მე-2 გვერდზე და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა | | |
| **დღეს** | | |
| შტუტგარტი | : | დორტმუნდი |
| შალკე | : | ბოხუმი |
| ვერდერი | : | ჰამბურგი |
| ჰერტა | : | ლევერკუზენი |
| კოტბუსი | : | კარლსრუე |
| ვოლფსბურგი | : | აინტრახტი |
| **ხვალ** | | |
| არმინია | : | ბაიერნი |
| დუისბურგი | : | ნიურნბერგი |

## გერმანია

# თომას შააფი: გვეყო შარაფი



**დღეს** პრეცედენტია მოსალოდნელი — თუ „ვერდერისა“ „ჰამბურგის“ მატჩი ფრედ არ დასრულდება, ამ შეხვედრის გამარჯვებული მინიმუმ ერთი დღით გალიდერდება და „ბაიერნს“ გადაასწრებს, რადგან მიუნხენელები ბილეფელდში ხვალ ითამაშებენ. უკვე სამი წელია, „ვერდერს“ შინ „ჰამბურგი“ არ დაუმარცხებია. ამჟამად ორივე გუნდი კარგ ფორმაშია. „მუსიკოსებმაც“ და ჰამბურგელებმაც ბოლო ექვს ტურში ხუთ-ხუთი მატჩი მოიგეს. ამას დავუმატოთ „ვერდერის“ გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან“ (3:2) და „ჰამბურგის“ მიერ „რენის“ ძლევა (3:0) უეფას თასზე. „მთავარია, ზეიმი არ გაგვიგრძელდეს, რადგან შაბათს არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩი გველის“ — თქვა ტომას შააფმა „რეალის“ დამარცხების შემდეგ.

ბრემენელებს ტრავმის გამო მეკარე ტიმ ვიზე, ტორსტენ ფრინგსი, ტიმ ბოროვსკი და უგო ალმეიდა დააკლდებათ, „ჰამბურგს“ კი მხოლოდ სორინი ჰყავს დაშავებული.

„ბაიერნს“ იოლი გასეირნება არ ელის ბილეფილდში, სადაც შარშან 1:2 წააგო, სულ კი ბოლო ოთხი სტუმრობიდან მხოლოდ ერთხელ იმარჯვა. მიუნხენელებს ვერ დაეხმარებიან ლუსიო, პოდოლსკი, იანსენი და შვაინშტაიგერი.

| 10063 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10065 | ლივერპული-ბოლტონი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10066 | მანჩესტერი-ფულემი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10068 | პორტსმუთი-ევერტონი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10069 | რედინგი-მიდლსბრო | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10070 | სანდერლენდი-დერბი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10071 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10072 | უიგანი-სიტი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10086 | პლიმუთი-სკანთორპი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10087 | უოტფორდი-კოლჩესტერი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10088 | სტოუკი-ნორვიჩი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10089 | უენზდეი-ბრისტოლი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10090 | ბლექპული-ქპრ | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10091 | ვოლვერჰემპტონი-პრესტონი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10092 | ჩარლტონი-ბერნლი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10093 | ქოვენტრი-შეფილდი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10094 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10095 | ჰალი-კარდიფი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10096 | იფსვიჩი-ბარნსლი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10097 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10110 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10112 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10113 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10114 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10115 | ჰარტსი-სელტიკი | 4.60 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.46 | 1.06 |
| 10117 | მაზერველი-გრეტნა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10133 | შალკე-ბოხუმი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10134 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10135 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10136 | არმინია-ბაიერნი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10138 | კოტბუსი -კარლსრუე | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10140 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10142 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10143 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10145 | ფიურტი-ოსნაბრიუკი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10146 | მიუნხენი 1860-პადერბორნი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10147 | კიოლნი-აუგსბურგი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10148 | კობლენცი-ჰოფენჰაიმი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10150 | ოფენბახი-ფრაიბურგი | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10153 | ალემანია-მაინცი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10172 | რიდი-აუსტრია | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10173 | შტურმი-მატერსბურგი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10175 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10176 | ალტახი-ლინცი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10183 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10184 | სიონი-ლუცერნი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10185 | სტ.გალენი-იანგ ბოისი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10186 | თუნი-ბაზელი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10187 | ციურიხი-აარაუ | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10197 | სიენა-ლაციო | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10198 | ტორინო-ჯენოა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10199 | ატალანტა-ნაპოლი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10200 | კალიარი-ლივორნო | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10201 | კატანია-პალერმო | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10202 | ფიორენტინა-ინტერი | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10203 | მილანი-იუვენტუსი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10204 | პარმა-ემპოლი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10206 | რომა-უდინეზე | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10207 | სამპდორია-რეჯინა | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10226 | ალმერია-სევილია | 3.75 | 2.00 | 2.40 | 1.30 | 1.46 | 1.09 |
| 10227 | ვალიადოლიდი-ვილარეალი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10229 | ბეტისი-ატლეტიკო | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10230 | ხეტაფე-ლევანტე | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10231 | უელვა-სარაგოსა | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10232 | ესპანიოლი-ბარსელონა | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10233 | დეპორტივო-ოსასუნა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10234 | ვალენსია-ბილბაო | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10236 | რეალი-რასინგი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10238 | მალიორკა-მურსია | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10239 | ჰერკულესი-ტარაგონა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10240 | ეიბარი-ეხიდო | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10241 | კასტელიონი-ლას პალმასი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10242 | კორდობა-ელჩე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10243 | ალავესი-ხერესი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10245 | ტენერიფე-ნუმანსია | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10246 | გრანადა -სპორტინგი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10247 | კადისი-ფეროლი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10248 | სევილია ბ-სოსიედადი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10249 | მალაგა -სელტა | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10251 | ბორდო-ტულუზა | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10253 | ლე მანი-ნანსი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10254 | ლილი-მარსელი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10255 | ლორიანი-სტ.ეტიენი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10256 | ლიონი-სტრასბურგი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10258 | მეცი-ოსერი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10259 | მონაკო-ნიცა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10260 | პსჟ-კანი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10261 | სოშო-ლანსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10262 | ვალენსიენი-რენი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10269 | მონპელიე-ნანტი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10274 | შარლერუა-ვარეგემი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10275 | ბრიუგე-გენტი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10277 | დენდერი-გენკი | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10279 | ლოკერენი-ხერკლე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10280 | მუსკრონი-რუზელარე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10281 | მეხელენი-ბრიუსელი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10282 | მონსი-ვესტერლო | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10283 | სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10294 | ტილბურგი-ექსელსიორი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10295 | გრაასხაპი-პსვ | 5.00 | 2.20 | 1.90 | 1.52 | 1.37 | 1.01 |
| 10296 | როდა-ვიტესი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10297 | გრონინგენი-ვენლო | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10298 | ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10300 | ტვენტე-ალკმაარი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10301 | აიაქსი-ბრედა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10303 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10313 | [illegible]-დენ ჰააგი | 4.00 | 2.00 | 2.30 | 1.33 | 1.46 | 1.06 |
| 10314 | გიმარაეში-აკადემიკა | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10316 | ნასიონალი-ბოავიშტა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10317 | ნავალი-ფერეირა | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10318 | ბრაგა-მარიტიმუ | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10319 | სპორტინგი-ლეირია | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10321 | ბენფიკა-პორტუ | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10322 | ამადორა-ლეშოეში | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10379 | ნორდშელანდი-ოდენსე | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10380 | რანდერსი-ვაიბორგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10381 | ოლბორგი-ლინგბი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10382 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10383 | ესბიერგი-ჰორსენსი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10384 | კოპენჰაგენი-ბრონდბი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10798 | ბარი-ბოლონია | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10799 | ბრეშა-კიევო | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10800 | ჩეზენა-სპეცია | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10801 | გროსეტო-ასკოლი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10802 | მანტოვა-ფროზინონე | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10803 | მესინა-აველინო | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10804 | მოდენა-ტრიესტინა | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10805 | პიზა-ლეჩე | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10806 | რავენა-რიმინი | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10807 | ვიჩენცა-პიაჩენცა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11060 | ასტონ ვილა-არსენალი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11062 | ბლეკბერნი-ნიუკასლი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11063 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11065 | ლივერპული-ბოლტონი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11066 | მანჩესტერი-ფულემი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11068 | პორტსმუთი-ევერტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11069 | რედინგი-მიდლსბრო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11070 | სანდერლენდი-დერბი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11071 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11072 | უიგანი-სიტი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11086 | პლიმუთი-სკანთორპი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11087 | უოტფორდი-კოლჩესტერი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11088 | სტოუკი-ნორვიჩი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11089 | უენზდეი-ბრისტოლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11090 | ბლექპული-ქპრ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11091 | ვოლვერჰემპტონი-პრესტონი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11092 | ჩარლტონი-ბერნლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11093 | ქოვენტრი-შეფილდი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11094 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11095 | ჰალი-კარდიფი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11096 | იფსვიჩი-ბარნსლი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11097 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11110 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11112 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11113 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11114 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11115 | ჰარტსი-სელტიკი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11117 | მაზერველი-გრეტნა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11133 | შალკე-ბოხუმი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11134 | ვერდერი-ჰამბურგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11135 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11136 | არმინია-ბაიერნი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11138 | კოტბუსი -კარლსრუე | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11140 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11142 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11143 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11145 | ფიურტი-ოსნაბრიუკი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11146 | მიუნხენი 1860-პადერბორნი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11147 | კიოლნი-აუგსბურგი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11148 | კობლენცი-ჰოფენჰაიმი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11150 | ოფენბახი-ფრაიბურგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11153 | ალემანია-მაინცი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11172 | რიდი-აუსტრია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11173 | შტურმი-მატერსბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11175 | რაპიდი-ზალცბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11176 | ალტახი-ლინცი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11183 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11184 | სიონი-ლუცერნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11185 | სტ.გალენი-იანგ ბოისი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11186 | თუნი-ბაზელი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11187 | ციურიხი-აარაუ | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11197 | სიენა-ლაციო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11198 | ტორინო-ჯენოა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11199 | ატალანტა-ნაპოლი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11200 | კალიარი-ლივორნო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11201 | კატანია-პალერმო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11202 | ფიორენტინა-ინტერი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11203 | მილანი-იუვენტუსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11204 | პარმა-ემპოლი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11206 | რომა-უდინეზე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11207 | სამპდორია-რეჯინა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11226 | ალმერია-სევილია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11227 | ვალიადოლიდი-ვილარეალი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11229 | ბეტისი-ატლეტიკო | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11230 | ხეტაფე-ლევანტე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11231 | უელვა-სარაგოსა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11232 | ესპანიოლი-ბარსელონა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11233 | დეპორტივო-ოსასუნა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11234 | ვალენსია-ბილბაო | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11236 | რეალი-რასინგი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11238 | მალიორკა-მურსია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11239 | ჰერკულესი-ტარაგონა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11240 | ეიბარი-ეხიდო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11241 | კასტელიონი-ლას პალმასი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11242 | კორდობა-ელჩე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11243 | ალავესი-ხერესი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11245 | ტენერიფე-ნუმანსია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11246 | გრანადა -სპორტინგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11247 | კადისი-ფეროლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11248 | სევილია ბ-სოსიედადი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11249 | მალაგა -სელტა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11251 | ბორდო-ტულუზა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11253 | ლე მანი-ნანსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11254 | ლილი-მარსელი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11255 | ლორიანი-სტ.ეტიენი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11256 | ლიონი-სტრასბურგი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11258 | მეცი-ოსერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11259 | მონაკო-ნიცა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11260 | პსჟ-კანი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11261 | სოშო-ლანსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11262 | ვალენსიენი-რენი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11269 | მონპელიე-ნანტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11274 | შარლერუა-ვარეგემი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11275 | ბრიუგე-გენტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11277 | დენდერი-გენკი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11279 | ლოკერენი-ხერკლე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11280 | მუსკრონი-რუზელარე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11281 | მეხელენი-ბრიუსელი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11282 | მონსი-ვესტერლო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11283 | სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11294 | ტილბურგი-ექსელსიორი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11295 | გრაასხაპი-პსვ | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11296 | როდა-ვიტესი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11297 | გრონინგენი-ვენლო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11298 | ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11300 | ტვენტე-ალკმაარი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11301 | აიაქსი-ბრედა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11303 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11313 | [illegible]-დენ ჰააგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11314 | გიმარაეში-აკადემიკა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11316 | ნასიონალი-ბოავიშტა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11317 | ნავალი-ფერეირა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11318 | ბრაგა-მარიტიმუ | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11319 | სპორტინგი-ლეირია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11321 | ბენფიკა-პორტუ | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11322 | ამადორა-ლეშოეში | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11379 | ნორდშელანდი-ოდენსე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11380 | რანდერსი-ვაიბორგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11381 | ოლბორგი-ლინგბი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11382 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11383 | ესბიერგი-ჰორსენსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11384 | კოპენჰაგენი-ბრონდბი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11798 | ბარი-ბოლონია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11799 | ბრეშა-კიევო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11800 | ჩეზენა-სპეცია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11801 | გროსეტო-ასკოლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11802 | მანტოვა-ფროზინონე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11803 | მესინა-აველინო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11804 | მოდენა-ტრიესტინა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11805 | პიზა-ლეჩე | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11806 | რავენა-რიმინი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11807 | ვიჩენცა-პიაჩენცა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |




[illegible] ფოტო

# დინამოს ევროპული ოდისეა
## ძველი გამარჯვება ახალ წიგნად

**ქართულ** საკალათბურთო მატიანეში ყველაზე მჭუხარე ჯილდო ევროპის ჩემპიონთა თასია, რომელიც თბილისის „დინამომ“ 1962 წელს მადრიდის „რეალთან“ ბრძოლაში მოიპოვა. საბჭოთა ეპოქაში მიღწეული ეს საამაყო გამარჯვება გასაგები მიზეზების გამო სათანადოდ არ გაშუქებულა, ის კი არა, ამ ფინალური მატჩის ოქმიც არ უნახავთ ქართველ გულშემატკივრებს.

შვეიცარიულ ჟენევაში მოპოვებულ ამ ღირებულ გამარჯვებას ორიოდ აბზაცით გამოეხმაურა საბჭოური პრესა და თვითმხილველთა მონათხრობითა და თვით გრიგოლ რობაქიძის წერილებით იცნობდა მას ქართველი გულშემატკივარი.

წლეულს 45 წელი შესრულდა ჩემპიონთა თასის მოგებიდან და სწორედ ამ თარიღს დაამთხვია ჟურნალისტმა ვაჟა დანელიამ თავისი წიგნის — „ევროპული ოდისეის“ გამოცემა. ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა თავი მოუყარა 1962 წლის გამარჯვების მონაწილეთა ემოციებს, მონათხრობებს, ინტერვიუებს და ჩემპიონთა თასის მოგების პერიპეტიები საინტერესოდ გადმოსცა.

გუშინ „ევროპული ოდისეის“ პრეზენტაცია კლუბ „12 მაგიდაში“ გაიმართა, რომელსაც ძველი დინამოელები, ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი ვეტერნები დაესწრნენ.

სამწუხაროა, რომ პრეზენტაციამდე სულ რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა იმ „დინამოს“ წევრი, გამარჯვებაში თავისი წილის შემტანი ვალერი ალთაბაევი, ვის ხსოვნასაც „12 მაგიდაში“ შეკრებილებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

„ეს წიგნი ეძღვნება 1962 წელს მოპოვებულ დიდ გამარჯვებას და მასში ასევე წაიკითხავთ იმ ფანტასტიკური მატჩის ამბებს, რომელშიც თბილისის „დინამომ“ ლატვიური გუნდი 3 კაცით დაამარცხა — აღნიშნა ავტორმა — ამ წიგნის გამოცემა 40 წლისთავისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოესწრო და ქართველი გულშემატკივარს ახლა ეძლევა შანსი, უფრო ვრცლად გაიგოს 1962 წელს ჟენევაში მომხდარი ამბების პერაპეტიები“.

ცხადია, ყველა ვეტერან კალათბურთელს დაურიგდა ახალგამოცემული წიგნი და მათ ფედერაციისგანაც მიიღეს საჩუქარი. ამ ორგანოს გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ძველ დინამოელებს სუპერლიგის მატჩებზე მთელი სეზონის განმავლობაში დასასწრები აბონემენტები დაურიგა.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროლიგა 2007–08
### I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 28–29 ნოემბერი

**A ჯგუფი**

**პროკომი 59:84 სიენა**
პროკომი: მასიულისი (16), სტანოევიჩი (16)
სიენა: კაუკენასი (14), ილიევსკი (13)
**ოლიმპიაკოსი 90:74 ჟალგირისი**
ოლიმპიაკოსი: მასიაუსკასი (32), ვუდსი (18)
ჟალგირისი: ბრაუნი (19), კოლინსი (14)
**ტაუ 76:85 ცსკა**
ტაუ: პლანინიჩი (15), პრიჯიონი (14)
ცსკა: ანდერსენი (23), ლანდგონი (23)
**ვირტუსი 101:91 ოლიმპია**
ვირტუსი: სპენსერი (34), ჯოვანონი (19)
ოლიმპია: მუკიჩი (20), ჟუპანი (19)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 1 | 47 | 11 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 4 | 2 | 75 | 10 |
| სიენა | 6 | 4 | 2 | 70 | 10 |
| ტაუ | 6 | 4 | 2 | 58 | 10 |
| ჟალგირისი | 6 | 2 | 4 | -26 | 8 |
| ოლიმპია | 6 | 2 | 4 | -60 | 8 |
| ვირტუსი | 6 | 2 | 4 | -62 | 8 |
| პროკომი | 6 | 1 | 5 | -102 | 6 |

**B ჯგუფი**

**ციბონა 91:71 ლე მანი**
ციბონა: უორენი (20), კელი (15)
ლე მანი: კლეინსი (20), რიჩი (16)
**არისი 67:64 ეფესი**
არისი: რაიტი (20), მესი (13)
ეფესი: ნიკოლასი (15), არსლანი (11)
**არმანი 81:82 მაკაბი**
არმანი: ვუკჩევიჩი (20), გალინარი (20)
მაკაბი: ჰალპერინი (20), მორისი (17)
**უნიკახა 71:69 ლიეტუვოს რიტასი**
უნიკახა: როდრიგესი (11), სანტიაგო (11)
რიტასი: ეიდსონი (18), პრაისი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 6 | 5 | 1 | 77 | 11 |
| რიტასი | 6 | 4 | 2 | 29 | 10 |
| არისი | 6 | 4 | 2 | 0 | 10 |
| მაკაბი | 6 | 4 | 2 | -25 | 10 |
| ეფესი | 6 | 3 | 3 | 3 | 9 |
| ციბონა | 6 | 3 | 3 | -11 | 9 |
| არმანი | 6 | 1 | 5 | -29 | 7 |
| ლე მანი | 6 | 0 | 6 | -44 | 6 |

**C ჯგუფი**

**რომა 65:74 ბარსელონა**
რომა: ლორბეკი (13), ფუჩკა (12)
ბარსელონა: კაშუნი (18), ბაზილე (15)
**ბამბერგი 78:62 პარტიზანი**
ბამბერგი: გრინი (18), პენი (17)
პარტიზანი: კეცმანი (20), პეკოვიჩი (14)
**ფენერბაჰჩე 64:83 პანათინაიკოსი**
ფენერბაჰჩე: ერდენი (15), ვაიტი (14)
პანათინაიკოსი: იასიკევიჩუსი (19), ბატისტე (16)
**რეალი 104:73 როანი**
რეალი: სმიტი (22), სეკულიჩი (14)
როანი: რაში (27), სეილერსი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 6 | 6 | 0 | 81 | 12 |
| რეალი | 6 | 5 | 1 | 55 | 11 |
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 28 | 10 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 3 | 3 | -14 | 9 |
| პარტიზანი | 6 | 3 | 3 | -22 | 9 |
| რომა | 6 | 1 | 5 | -18 | 7 |
| ბამბერგი | 6 | 1 | 5 | -28 | 7 |
| როანი | 6 | 1 | 5 | -82 | 7 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი
# კობიმ ეგო დამალა

29 ნოემბერი

**ლეიკერსი 127:99 დენვერი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (24), ვუიაჩიჩი (22), უოლტონი (14)
დენვერი: ენტონი (23), აივერსონი (21)
**ბოსტონი 104:59 ნიუ იორკი**
ბოსტონი: ალენი (21), პირსი (21)
ნიუ იორკი: რობინსონი (11)
**გოლდენ სტეიტი 113:94 ჰიუსტონი**
გოლდენ სტეიტი: დევისი (27 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ჯეკსონი (19), ელისი (18), ჰარინგტონი (18)
ჰიუსტონი: ჯეიმსი (19), ველსი (13)

კობი ბრაიანტი ბოლო დროს თევზივით დუმს. რაც სეზონი დაიწყო, ცნობილ მოჯანყეს სიტყვა აღარ დაუძრავს წასვლაზე. როგორც ჩანს, ნბა-ს ყველაზე დიდი ეგოისტი თავისი გუნდით და შედეგებით სავსებით კმაყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ „ლეიკერსის“ ამგვარი თამაშით მისი „ეგო“ ითრგუნება.

ჩნდება კითხვა: ფილ ჯექსონმა შეძლო თუ არა მისი მოდრეკა და მისი ნიჭის გუნდურ ინტერესებში ჩასმა? ყოველ შემთხვევაში, „ლეიკერსი“ იგებს და ბრაიანტიც ცოფებს არ ყრის იმის გამო, რომ მისი საშუალო შედეგიანობა წინა სეზონთან შედარებით 32 ქულიდან 27-მდე დაეცა.

ხუთშაბათს „დენვერთან“ შეხვედრაში კობი თითქმის არ ჩანდა. „ლეიკერსი“ სამი მეოთხედის შემდეგ მხოლოდ 6 ქულით იგებდა და დასკვნით 12-წუთეულში დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ჯექსონმა ამ პერიოდში საერთოდ არ ააყენა სკამიდან თავისი სუპერვარსკვლავი, რადგან მის შემცვლელს, ვინმე საშა ვუიაჩიჩს თამაში წაუვიდა. სლოვენიელმა უკანახაზელმა მეოთხე მეოთხედში 19 ქულა ჩააგდო და მატჩი კარიერაში სარეკორდო, 21 ქულით დაასრულა. საშას და სხვა სათადარიგოთა გადასარევმა თამაშმა კი ის შედეგი გამოიღო, რომ „ლეიკერსმა“ ბოლო მეოთხედში 46:24 შემუსრა კარმელო ენტონის და ალენ აივერსონის „დენვერი“, სულ კი 28-ქულიანი უპირატესობით დაამარცხა. „ლეიკერსის“ სკამმა ამ მატჩში 63 ქულა გააკეთა.

უცნაური თამაში გაიმართა „ბოსტონში“. იქაურმა „სელტიქსმა“ 45 ქულით შემუსრა „ნიუ იორკ ნიქსი“. ორივენი ნბა-ს უძველესი გუნდები არიან, მაგრამ ერთს თუ ტიტულებით ისე ატყდება მხრები, როგორც მწიფე ნაყოფით დახუნძლულ ვაშლის ხეს, მეორემ ვერა და ვერ გაიხარა და ვერ უწამლა ტანში შემძვრალ ჭიას.

„სელტიქსის“ ლიდერებმა პირველ ტაიმშივე მოუთავეს ხელი ნიუიორკელებს, როცა 54:31 დაწინაურდნენ. მერე კი ბოსტონელმა სათადარიგოებმა გააგრძელეს უსახურ სტუმართა რბევა და მთლად შეარცხვინეს აიზია ტომასის შეგირდები. ნიუიორკელ ნეიტ რობინსონს ზედ საფინალო სირენასთან ერთად სამქულიანი რომ არ ჩაეგდო, მისი გუნდით 48 ქულით წააგებდა და ყველა დროის შიდასაკლუბო ანტირეკორდს გამოკრავდა ხელს. თავად ამ რობინსონმა 11 ქულა მოაგროვა და გახდა ერთადერთი ნიუიორკელი, რომელმაც თავისი მონაგარი ორნიშნა რიცხვით გამოსახა, სხვები კი ჩაფლავდნენ. ამ მარცხმა, დიდი შანსია, „ნიქსის“ მწვრთნელი აიზია ტომასი შეიწიროს, რომლის სკამიც ისედაც გვარიანად მორყეულია, მაგრამ 80-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშე აქამდე ასე თუ ისე ახერხებდა ზედ თავის შეკავებას.

**კოტე ყორშია**



ჩოგბურთი

## დევისის თასი. ფინალი. აშშ — რუსეთი
## ორეგონი. აშშ. 30 ნოემბერი — 2 დეკემბერი



ამერიკელები ვერცხლის სასალათესთან ფინალის დაწყებამდე პოზიორობდნენ, რუსები კი ტიტულის უბრძოლველად დათმობას არ აპირებენ



# სახლშია და დიდ გულზე
## ამერიკამ ოცდამეთორმეტე ჩაიფიქრა

**დღეს,** გამთენიისას, აშშ-ში, ქალაქ ორეგონში, დაიწყო და მთელ უქმეებს გასტანს დევისის თასის ფინალი, რომელშიც 2007 წლის უძლიერესი საჩოგბურთო ნაკრების ვინაობა გაირკვევა. მასპინძლები მოქმედ ჩემპიონ რუსებს მიიღებენ და შარშან მოსკოვში ნახევარფინალში დამარცხებისთვის შურისძიებას შეეცდებიან.

დევისის თასის 31-გზის ჩემპიონები უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდებიან რუსებს. ამერიკელთა კაპიტანმა პატრიკ მაკინროიმ ენდი როდიკს, ჯეიმს ბლეიკსა და მსოფლიოს უძლიერეს დუეტს, ტყუპ ძმებ ბობ და მაიკ ბრაიანებს უხმო — ფინალამდე ეს ბიჭები მოვიდნენ და ბოლო ჯახის მოგებაც ამათი საქმეაო.

აი, რუსთა კაპიტანმა, გამოცდილმა შამილ ტარპიშჩევმა კი ყველას სერიოზული სიურპრიზი შესთავაზა, როცა მარატ საფინის დახმარებაზე უარი თქვა, რის გამოც ახლა ნიკოლაი დავიდენკოს, დმიტრი ტურსუნოვის, მიხაილ იუჟნისა და იგორ ანდრეევის იმედად არის.

როგორც მასპინძლებს, იანკებს საფარის არჩევის საშუალება ჰქონდათ და მათაც ჰარდზე თამაში გადაწყვიტეს. ამერიკელებს ეგებ ბალახზე თამაში ერჩიათ — მინდორზე რუსები ყველაზე სუსტად ჩოგნაობენ — მაგრამ წლის ამ პერიოდში ხეირიან მდგომარეობაში მყოფი ბალახის კორტის ნახვა ძნელია და ჰარდზე თამაშიც ამიტომ გადაწყდა. თუმცა ამერიკელებს მაგარსაფარიც გვარიან უპირატესობას მისცემთ, რადგანაც როდიკიცა და ბლეიკიც უძლიერეს მოწოდებას ფლობენ.

ასე რომ, ამერიკელები უეჭველი ფავორიტები არიან.

„მგონი, გამარჯვების მართლა მეტი შანსი უნდა გვქონდეს. ჩვენი ლიდერები კარგ ფორმაში არიან, მაყურებელთა მხარდაჭერა გარანტირებულია და თან ჩვენთვის მისაღებ საფარზე ვიჩოგნავებთ. თანაც ნაკრებში განსაკუთრებული სულისკვეთებაა — დევისის თასი აგერ უკვე 12 წელია, არ მოგვიგია და ჩვენი ჩოგბურთელებიც თავს დადებენ ამ „გვალვის" შესაწყვეტად" — თავისი აზრი გამოთქვა ამერიკელთა კაპიტნის ძმამ და ჩოგბურთის ლეგენდამ, ჯონ მაკინროიმ.

ისე, თავად რუსებიც აღიარებენ, რომ ფინალის ფავორიტები აშკარად მასპინძლები არიან. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სლავები ფარ-ხმლის წინდაწინ დაყრას აპირებენ.

„ჩვენ მართლაც აუტსაიდერები ვიქნებით. ვფიქრობ, დაახლოებით 30-35 პროცენტია იმის შანსი, რომ საქმე საჩვენოდ შემოტრიალდეს. თუმცა, ასეთივე მდგომარეობა იყო წლის დასაწყისში ჩილესთან შეხვედრაშიც, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა. ამიტომ არ ვიტყოდი, სულ მთლად უიმედოდ ვართ-მეთქი" — განაცხადა ტარპიშჩევმა.

აი, მიხაილ იუჟნის კი ოპტიმიზმის საფუძველიც მისცემია:

„საფარი იმაზე ნელი გამოდგა, ვიდრე ველოდით. ჰარდზე კარგად ჩოგნაობა რომ შემიძლია, შარშანაც დავამტკიცე და წლეულსაც. ჩემი თამაშის დაჭერა თუ მოვახერხე, როდიკიც მიფრთხილდეს".

ამერიკელი ჩოგბურთელები კი ფინალის წინ ჩვეულებრივ ჩუმად არიან. ათიოდ დღის წინ ბლეიკიცა და როდიკიც ამბობდნენ, აუცილებლად მოვიგებთო, მაგრამ იმის შემდეგ პრესას თავს არიდებენ. ერთი ეგ თქვეს, მაყურებელთა ხმაურიან მხარდაჭერას ველითო.

დაბოლოს, იმაზე, როგორ დაწყვილდნენ ჩოგბურთელები: პირველ სათამაშო დღეს როდიკი ტურსუნოვს დაეტაკება, ბლეიკი კი — იუჟნის. შაბათს გვიან ღამით ძმებ ბრაიანებს დავიდენკოსა და ანდრეევის დუეტი დაუპირისპირდება, კვირას კი როდიკი იუჟნის დაეჯახება, ბლეიკი — ტურსუნოვს.

როგორც ხედავთ, ტარპიშჩევმა სიურპრიზი აქაც შემოგვთავაზა და ნაკრების ლიდერი დავიდენკო ერთეულთა თანრიგის შეხვედრებს მოარიდა. თუმცა რუსთა კაპიტნის ეს გადაწყვეტილება გასაგებია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დავიდენკოს როდიკისა და ბლეიკისთვის კარიერაში ერთხელაც არ მოუგია. აი, ტურსუნოვმა კი როდიკს შარშან მოსკოვში მოუგო და ტარპიშჩევიც ამის იმედზეა — ეგებ ახლაც გაუვარდესო.

მოკლედ, ამერიკელებს ყველა კოზირი ხელთ უპყრიათ და ძნელი წარმოსადგენია, რამ უნდა შეუშალოს მათ ხელი 32-ე ტიტულის მოგებაში.

**ბაჩა ლომჯავშილი**

ჭიდაობა

# შენ დაუკარ!
## აბა, ვერის ბაღში მნახე, ...

**1-2 დეკემბერს** ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ქართულ ჭიდაობაში ტრადიციული ტურნირი გაიმართება, ანუ ფალავნობა ჩატარდება, ხოლო ხვალ პრეზიდენტის თასზე 13 რეგიონი გუნდურ ჩათვლაში გაეჯიბრება ერთმანეთს.

ფალავნობაზე 40-50 მონაწილე იბრძოლებს. ქართულ ჭიდაობაში 80 კილოგრამს ზემოთ საქართველოს საუკეთესო ფალავნის ტიტული თამაშდება და პირველ ადგილზე გასული 3 000 ლარს მიიღებს, მეორე ადგილოსანი — 2 000-ს, ხოლო მესამე — 1000-ს.

გუნდურ ჩათვლაში პრეზიდენტის თასზე საპრიზო ფონდი სულ 10 000 ლარია და ფულსაც, რა თქმა უნდა, საუკეთესო სამეული გაინაწილებს. ამასთან ერთად, შეჯიბრის ყველა მონაწილე ქართული ჭიდაობის ამუნიციით დასაჩუქრდება.

**ზურაბ მიგრიაული**

# ქართული ჭიდაობის ფესვმაგარი ბერმუხა
## ლავრენტი კაციაშვილი 80 წლისაა

**გუშინ** საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გაიმართა უნივერსალური მოჭიდავის, უძლიერესი ფალავნისა და დამსახურებული მწვრთნელის ლავრენტი კაციაშვილის 80 წლის იუბილე. ლვაწლმოსილ ფალავანს თითქმის ყველა სახეობაში უჭიდავია და ყველგან ერთნაირი წარმატებით, მაგრამ განსაკუთრებით ქართულ სამბოში შეტანილი წვლილით დაიკვეხნის. კაცის აქტიური სპორტსმენობის დროს სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები არ იმართებოდა, თორემ ჭიდაობაში ჩახედულები ამბობენ, რომ ნიჭიერებით ლევან თედიაშვილსა და რომან რურუას არ ჩამოუვარდებოდა და საერთაშორისო ასპარეზის უქონლობა რომ არა, ამაგდარი მოჭიდავის ჯილდოთა მარაგი გაცილებით უხვი იქნებოდა.

ეს, რაც შეეხება კაციაშვილის, როგორც მოჭიდავის დამსახურებას, თორემ მისი სამწვრთნელო მიღწევები უფრო შთამბეჭდავია. საქართველოში სამბოს სახელიან ოსტატთა უმეტესობას კაციაშვილის სკოლა აქვს გამოვლილი და ყველა დროის საუკეთესო ქართველი სამბისტი იოსებ მაღალაშვილიც ბატონი ლავრენტის აღზრდილია. მოკლედ, ლავრენტი კაციაშვილმა 60 წელი ქართული ჭიდაობის განვითარება-აღორძინებას შესწირა და სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილმა ადამიანებმა შქებისდაგვარად მიულოცეს და სამწვრთნელო კარიერის წარმატებით გაგრძელება უსურვეს ჭიდაობის ბერმუხას.

ჭიდაობის ფედერაციამ ოქროს მედლით, საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა ფულადი პრემიით, ხოლო კასპის მუნიციპალიტეტმა ტელევიზორითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს ლეგენდარული ფალავანი.

**ზურაბ მიგრიაული**

ჭადრაკი

## მსოფლიოს თასი. ხანტი-მანსიისკი
## რუსეთი. 22 ნოემბერი-18 დეკემბერი

# ივანჩუკი ისევ სისწრაფეში იხსნა

**მსოფლიოს** თასზე მეორე ეტაპის მატჩები დასრულდა და 32 მეთექვსმეტედფინალისტის ვინაობა გაირკვა. აქედან ოცმა მომდევნო ეტაპის საგზური ძირითად დროში მოიპოვა, დანარჩენმა 12 კი ტაიბრეიკებში იბრძოლა.

გადათამაშებაში მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონი სწრაფ ჭადრაკში, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი. ფიდეს მეორე ნომერი რუს ალექსანდრ გალკინს ორივე პარტიაში დაუზავდა და ბოლოს ბლიც-პარტიებში 1,5:0,5 მოუგო.

სამწუხაროდ, ტურნირს გამოეთიშა გერმანიის სახელით მოთამაშე დავით ბარამიძე. პირველ ეტაპზე მან ინგლისელი ნაიჯელ შორტი გამოთიშა ასპარეზობიდან და სპეციალისტებიც ალაპარაკა. ბარამიძისგან სიურპრიზებს ახლაც



ელოდნენ, თუმცა კუბელი ლენიერ პერეს დომინგესი ვერ გატეხა და შეჯიბრს გამოეთიშა.

**ლუკა გეგეშიძე**

მთის თხილამურობა



დანიელ ალბრეხტი

# უსვინდალო ქვეყანაში ალბრეხტი აღზევდა

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, კოლორადოს შტატის სამთო კურორტ ბევერ კრიკში სამთო მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი გაჩაღდა. ოღონდ მთავარი ამბავი მანამდე მოხდა, სანამ უშუალოდ სათასო ბატალიები გახურდებოდა — კაცთა სუპერკომბინაციისწინა ვარჯიშისას, მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი და მიმდინარე გათამაშების ნორვეგიელი ლიდერი აქსელ ლუნდ სვინდალი სწრაფდაშვებისას ტრასიდან გადავარდა, მძიმედ დაშავდა და მინიმუმ სამი თვით გამოეთიშა „თეთრ ცირკს", ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სვინდალისთვის 2007-08 წლების სეზონი, ფაქტობრივად, დასრულდა და გაისად მარტში მსოფლიოს თასის გამარჯვებულის სარგო დიდ ბროლის გლობუსს ახალი პატრონი ეყოლება.

უსვინდალო სუპერკომბინაცია კი შვეიცარიელმა დანიელ ალბრეხტმა მოიგო. სწრაფდაშვების შემდეგ 24 წლის ალბრეხტი მეორე იყო და მხოლოდ თავის თანამემამულეს დიდიე კუშეს ჩამორჩებოდა 0,6 წამით. მესამე ამერიკელი ბოდე მილერი იყო, ხოლო მეოთხე შედეგი კიდევ ერთ შვეიცარიელ დიდიე დეფაგოს ჰქონდა.

დეფაგომ და მილერმა სლალომში ვერ ივარგეს, ხოლო კუშე საერთოდ, გამოეთიშა შეჯიბრს. ამ დროისთვის ალბრეხტი ცხრილის თავში იყო და კუშეს მარცხის შემდეგ ისევ იქ დარჩა. მეორე ადგილზე უცნობი ფრანგი ჟან-ბატისტ გრანჟე გავიდა, ვინც სწრაფდაშვების შემდეგ ოდენ 27-ე იყო, მაგრამ სლალომში შეუდარებელი გახლდათ და პოდიუმზეც ალზევდა. მესამე ადგილი კი ასევე უცნობმა ჩეხმა ონდრეი ბანკმა დაიკავა.

საერთო ჩათვლის სათავეში კვლავაც სუნდვალია, თუმც მისი ლიდერობა დიდხანს აღარ გასტანს და მალე თავში სხვები ავლენ.

**მსოფლიოს თასი. ბევერ კრიკი. აშშ. 29 ნოემბერი**

**კაცები**

**სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება+სლალომის 1 ცდა)**

| | |
|---|---|
| 1. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 2 წთ 00,26 წმ (1.14,06+46,20) |
| 2. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 2.00,93(1.15,80+45,13) |
| 3. ონდრეი ბანკი (ჩეხეთი) | 2.01,23(1.15,03+46,20) |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 2.01,28(1.14,08+47,20) |
| 5. ლარს მიხრი (ნორვეგია) | 2.01,45(1.14,36+47,09) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 234 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 166 |
| 3. კალე პალანდერი (ფინეთი) | 140 |
| 4. იან ჰუდეკი (კანადა) | 132 |
| 5. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 130 |

ფიგურული ციგურაობა

# ელენეს შვიდიანები

**ქართველი** მოციგურავე ელენე გედევანიშვილი ახლა იაპონიაშია და იქაურ სენდაიში მსოფლიო გრან პრის მორიგ ეტაპზე სრიალებს. უფრო ზუსტად, გუშინ 17 წლის ქართველმა მოკლე პროგრამა შეასრულა და გრან პრის პირველი დღე მოილია.

თერთმეტ მოციგურავეში ელენე გედევანიშვილი მე-7 ნომრად იყო განთესილი, ყინულზეც იმავე ნომრით გავიდა და პროგრამის შესრულების შემდეგ ჯერჯერობით იმავე ადგილზეა. ელენემ მოკლე პროგრამის შესრულებისას ერთი შეცდომა დაუშვა და ამით საკმაო ქულები დაექვითა. ახლა ქართველს 53,82 ქულა აქვს და დღეს თავისუფალ პროგრამას შეასრულებს. ისე, აქამდე გედევანიშვილის კოზირი სწორედ მოკლე პროგრამა იყო, მაგრამ ერთი თვის წინ რიდინგის გრან პრიზე პირიქით მოხდა, რაც ჩვენთვისაც დამაიმედებელია.

მოციგურავეთა ამქარს კი იტალიელი კაროლინა კოსტნერი (61,24 ქულა), იაპონელი მიკი ანდო (60,52) და შვეიცარიელი სარა მეიერი (59,16) ლიდერობენ.

**ბაჩო სვანიძე**



ბიატლონი

# ვინც ისვრის, ის იგებს

**პატარა** ქალაქ კონტიოლახტიში, რომელიც ფინეთში მდებარეობს, ბიატლონისტთა 2007-08 წლების სეზონი გაიხსნა. მსოფლიოს თასის მორიგი გათამაშების პროგრამაში ინდივიდუალური, სპრინტერული და გამოდევნებით რბოლებია და ტრადიციულად, პირველი ნომერი კლასიკური ინდივიდუალური რბოლა იყო ოთხი სასროლეთითა და თითო აცდენისთვის განკუთვნილი საჯარიმო წუთით.

სეზონი ქალებმა გახსნეს 15-კილომეტრიანი დისტანციით და ყველას უშეცდომოდ მსროლელმა გერმანელმა მარტინა გლაგოვმა აჯობა, რომელმაც 6,7 წამი მოუგო ასევე უშეცდომოდ მსროლელ რუს ტატიანა მოისეევას. მესამეც გერმანელი სიმონ დენკინგერი იყო, ხოლო სხვა, უფრო სახელოვანი გერმანელები — ანდრეა ჰენკელი, კატი ვილჰელმი, მაგდალენა ნოინერი — სროლამ დაალალატა.

კაცთა ოცკილომეტრიანი რბოლის ბედიც სასროლეთზე გადაწყდა — ფრანგმა ვენსამ დეფრანსმა ოცივე სამიზნე ჩაამსხვრია და დიდი ბიატლონიდან წასული თანამემამულის, რაფაელ პუარესგან ერთგვარი ესტაფეტა გადაიბარა.

დეფრანსს უკან ის ხალხი მიჰყვა, ვინც სროლისას თითოჯერ შეცდა — მეორე ნორვეგიელი ჰალვარდ ჰანევოლდი იყო, ხოლო ამის შემდეგ რუსები — მაქსიმ ჩუდოვი და სერგეი როჟკოვი განლაგდნენ.

მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი, გერმანელი მიხაელ გრაისი ოთხი აცდენით, ოდენ 25-ე იყო, ხოლო დიადმა ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა, სულაც ექვსი სამიზნე დატოვა ხელუხლებელი და 29-ე ადგილი დაიკავა.



მარტინა გლაგოვი

**მსოფლიოს თასი. I ეტაპი. კონტიოლახტი. ფინეთი. 28 ნოემბერი — 2 დეკემბერი**

**კაცები**

**20 კმ. ინდივიდუალური (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ვენსან დეფრანსი (საფრანგეთი) | 51 წთ 25,2 წმ (0 აცდენა) |
| 2. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | 51.48,8 (1) |
| 3. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 51.55,4 (1) |
| 4. სერგეი როშკოვი (რუსეთი) | 52.16,3 (1) |
| 5. დანიელ გრაფი (გერმანია) | 52,42,6 (1) |

**ქალები**

**15 კმ. ინდივიდუალური (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 46 წთ 28,8 წმ (0 აცდენა) |
| 2. ტატიანა მოისეევა (რუსეთი) | 46.35.5 (0) |
| 3. სიმონ დენკინგერი (გერმანია) | 47.31,5 (2) |
| 4. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 47.32,6 (2) |
| 5. ელენა იონსონი (შვედეთი) | 48.03,9 (1) |

NHL

# რეგულარული ჩემპიონატი

**29 ნოემბერი**

**ატლანტა 2:4 ტორონტო**

*0:2 1:1 1:1*

0:1 ვოზნევსკი (15), 0:2 სტეენი (20), 0:3 სუნდინი (36), 1:3 კოვალჩუკი (37), 1:4 სტეიჯანი (47), 2:4 ენსტრომი (53)

**ოტავა 5:6 ნეშვილი**

*1:2 1:1 3:3*

0:1 შემიუსი (1), 1:1 კორვო (13), 1:2 დე ვრიზი (17), 2:2 ვერმეტი (31), 2:3 დიუმონი (39), 3:3 ჰიტლი (43), 3:4 სუტერი (44), 3:5 ძელინა (49), 4:5 სპეცა (52), 5:5 ალფრედსონი (60), 5:6 ერატი (60)

**რეინჯერსი 4:2 აილენდერსი**

*1:0 2:2 1:0*

1:0 იაგრი (10), 1:1 შატანი (24), 2:1 დრური (27), 3:1 გომესი (37), 3:2 კომრი (38), 4:2 დუბინსკი (57)

**კალგარი 1:4 ანაჰაიმი**

*1:2 0:1 0:1*

1:0 ტანგეი (4), 1:1 მარჩანტი (6), 1:2 კუნიცი (20), 1:3 პერი (24), 1:4 ნიდერმაიერი (56)

**ვანკუვერი 2:0 კოლუმბუსი**

*0:0 2:0 0:0*

1:0 ელუნდი (25), 2:0 კრაიჩეკი (33)

**დეტროიტი 4:2 ტამპა**

*1:0 2:1 1:1*

1:0 გუდლერი (4), 2:0 დაციუკი (25), 3:0 კოპეცკი (28), 3:1 რიჩარდსი (33), 4:1 კლირი (43), 4:2 დარში (57)

**ფლორიდა 3:4 ბოსტონი**

*0:1 1:2 2:1*

0:1 ჩარა (11), 0:2 მეტროპოლიტი (21), 1:2 მონტადორი (23), 1:3 ჩარა (37), 1:4 კესელი (45), 2:4 ბუტი (58), 3:4 იოკინენი (60)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სლავა გასპაროვი.
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge